F 75/2 N 13837

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ბრიტანეთის ჯარების რამოდენიმე ბათალიონი გაგზავნილია მოსულისკენ.

ლოზანის კონფერენციის ჩაშლის გამო ანგორაში დიდი მითქმა-მოთქმაა.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები უარყოფენ ოსმალეთის მოთხოვნილებას სმირნიდან სამხედრო გემების გაყვანის შესახებ.

ჩიჩერინმა სომხეთის საერთაშორისო ლიგას მიმართა წერილით რომელშიდაც პირდება დახმარებას ლტოლვილთა დასახლებაში.

№ 31 შაბათი, 10 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 31

10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე,
სასახლეში (ოთახი № 28)
შესდგება
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის
სხდომა

სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება დანიშნულ დროს.

საქართველოს ცაკის მდივანი—საბაშვილი.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ საკითხების ყოველმხრივ გასაშუქებლად და მეურნეობის მახლობელ პერსპექტივების გამოსარკვევად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო იწვევს ა. წ. 1 მარტისათვის ქ. თფილისში ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირს, საოლქო და ადგილობრივ ეკონომიურ სახ. კომისარიატების, სახელმწიფოებრივი სავაჭრო ორგანიზაციების, კოოპერატივთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა და აგრეთვე მეურნეობის სხვადასხვა სპეციალისტებისა და მცოდნეთა მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის ეკონომიკის საერთო მიმოხილვა.

2) ა. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა და მისი განვითარების ფორმები.

ბ. საქონლის მოშენების მდგომარეობა და მისი პერსპექტივები;

გ. საძოვრების საკითხი;

დ. ტყის მეურნეობა.

3) სამრეწველო მცენარეთა კულტურა და მათი განვითარების პერსპექტივები.

4) მხარის წყლის მეურნეობა და ირრიგაციის საკითხები.

5) ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი.

6) დამმუშავებელი მრეწველობის ფორმები და ამოცანები.

7) ა. ელექტროფიკაცია;

ბ. ულელტეხილის ელექტრონის გზა.

8) ამიერ-კავკასიის ფულის სისტემა და პერსპექტივები.

9) გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა.

10) მიმოსვლის გზები და საშუალებანი (მათი მდგომარეობა და განვითარების საკითხები).

11) საგარეო ვაჭრობა და საბაჟო პოლიტიკა.

12) ამიერ-კავკასიის ბაზრები.

13) შინაური ვაჭრობა, მისი ორგანოები და ვაჭრობის კანონმდებლობა.

14) კოოპერაცია საბჭოთა მეურნეობის სისტემაში,

15) ამიერ-კავკასიის სამეურნეო სამმართველოს ორგანიზაციის ფორმა.

ყრილობაზე მოწვეული არიან:

უმაღლეს საოლქო ორგანოების—ამიერ-კავკასიის ცაკის, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები; გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების: ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახალხო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზათა სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატის სახალხო კომისრები; რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების,—სავაჭრო სამმართველოს—გამგეები; ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის, რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის, პურის პროდუქტის განყოფილების, ამიერ-კავკასიის კავშირის, ცენტრო კავშირის და საბაჟო სამმართველოს ხელმძღვანელები; რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები; რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახალხო კომისრები; ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახ. კომ., მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულები; ბამბის მოშენების კომიტეტების, მუღანის სამელიორაციო აღმშენებლობის განყოფილების, სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების, ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის, სახელმწიფო ბანკების, საქ. ს. ს. რ. კოოპერატიული ბანკის, „ჩემო"-ს, აზერბეიჯანის თევზის და აბრეშუმის მრეწველობის განყოფილებების გამგეები; პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები; ცეკავშირის, აზერბეიჯანის კოოპერატიული კავშირის, სომხეთის კოოპერატივთა კავშირის, აფხაზეთის კავშირის წარმომადგენლები; ცენტრალური სტატისტიკური განყოფილებების გამგეები.

განზრახულია აგრეთვე პერსონალურად მოწვევა ამიერ-კავკასიის ქარხნების წარმომადგენლების, სპეციალისტების (აგრონომების, ინჟენერების, ეკონომისტების და სხ.).

ყრილობის მოწვევა დაკისრებული აქვს ამიერ-კავკასიის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, სადაც შეიძლება ყოველგვარი ცნობების მიღება.

ეკონომიური თათბირი

პირველ მარტისათვის ქ. თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი.

თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მხარის ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ესა თუ ის დამოკიდებულება ეკონომიურ ცხოვრებასთან, ამ სიტყვის ფართე გაგებით, რომელნიც ამა თუ იმ სახით ჩაბმული არიან ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო აღმშენებლობაში.

ფრიად ფართეა და მრავალმხრივი თათბირის პროგრამა. მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგები და სახეები, საფინანსო პოლიტიკა, შინაური და საგარეო ვაჭრობა, ბაზრების მდგომარეობა, სატრანსპორტო საქმე, ელექტროფიკაცია, კოოპერაცია,—ყველა ეს და ამასთან დაკავშირებული საკითხები გახდება მომავალი თათბირის მსჯელობის საგნად.

ყველანი ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასია თავისი მდებარეობით და ბუნებრივი სიმდიდრით დიდი ეკონომიური შესაძლებლობათა მატარებელია.

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ის ამ მხრივ საფუძვლიანად და დაწვრილებით შესწავლილ-გაშუქებული იყოს. ამიერ-კავკასიის შესწავლა საბჭოთა ეკონომიკის თვალსაზრისით წინასწარი პირობაა გეგმაშეწონილი სამეურნეო მოღვაწეობისათვის.

თათბირის მიზანს შეადგენს ჩვენი მხარის ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილი სურათის გადაშლა და მისი მომავალი პერსპექტივების დასახვა.

მეორე მხრივ, ყველასაგან აღიარებულია უდავო ფაქტად, რომ ამიერკავკასია სამეურნეო თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ მთლიან სხეულს, რომლის ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მისი ცალკე შემადგენელ ნაწილების სასტიკი პროპორციის დაცვით და თვითეულ მათგანისათვის სათანადო ადგილის მიჩენებით. მაშასადამე, საჭიროა მხარის მთელი ეკონომიური ცხოვრების წარმართვა ერთიანი გეგმით. ამ მიმართულებით მუშაობა კარგა ხანია დაწყებულია. მაგრამ არ შეიძლება მაინც ითქვას, რომ ყველაფერი ჩამოყალიბებულია და გამონახულია სამეურნეო ორგანიზაციის საუკეთესო ფორმები. ჩვენ ისევ ვიმყოფებით ორგანიზაციული შენების პროცესში.

ამიტომაც დგას თათბირის დღის წესრიგში ცალკე მუხლად ამიერ-კავკასიის სამეურნეო სამმართველოს ორგანიზაციის ფორმა.

როგორც იყო აღნიშნული, მრავალი საჭირბოროტო და ამასთან უაღრესად პრაქტიკული ხასიათის საკითხები დგას თათბირის დღის წესრიგში.

ავიღოთ თუ გინდ ელექტროფიკაცია. ქვეყნის გამოყვანა დღევანდელ პრიმიტიულ სამეურნეო მდგომარეობიდან, სამეურნეო ცხოვრების ნამდვილი აღორძინება, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა შეუძლებელია გარეშე ელექტროფიკაციის. ელექტროფიკაციისათვის ფრიად ხელსაყრელი პირობები არსებობს ამიერ-კავკასიაში, სადაც შედარებით ადვილია ამისათვის უამრავი მდინარეების ენერგიის გამოყენება. ამ დარგში ჯერჯერობით ძალიან ცოტაა ჩვენში გაკეთებული. რა თქმა უნდა, საჭირო თანხა არ გვაჩნია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ელექტროფიკაციის ერთიანი გეგმაც არ გვაქვს შემუშავებული. ეკონომიური თათბირი ამ საკითხს მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და მას გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს.

ავიღოთ შემდეგ საქონლის მოშენების და საძოვრების საკითხი, რომელიც აგრეთვე შეტანილია თათბირის მუშაობის პროგრამაში.

მესაქონლეობა დიდ როლს თამაშობს მხარის მეურნეობაში; ამასთან ფრიად მწვავედ დგას საძოვრების საკითხი, რაც ერთი მიზეზთაგანია მესაქონლეობის დაქვეითების.

თათბირმა უნდა გამონახოს გზები მესაქონლეობის განსავითარებლად და საძოვრების საკითხების მოსაგვარებლად.

შემდეგ აღსანიშნავია მეტყეობის მდგომარეობა ჩვენში. ტყის მეურნეობა განსაცდელს განიცდის, მისი რაციონალური ექსპლოატაცია, მისი დაცვა-მოშენება არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც დიდ უბედურებას გვიქადის. ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. თათბირი ამ საკითხის შესახებაც იტყვის ავტორიტეტულ სიტყვას.

ვიმეორებთ, ბევრი სხვა უდიდესი მნიშვნელობის საკითხი დგას თათბირის წინაშე.

ამ საკითხების სათანადოდ გაშუქება უეჭველად ხელს შეუწყობს მხარის მეურნეობის გამოცოცხლებას, სახელმწიფოს ეკონომიურ გავლენის გაძლიერებას მთელ ცხოვრებაზე და ამით მშრომელთა დიქტატურის განმტკიცებას.

თათბირი თავის წვლილს შეიტანს იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ, ხოლო მეორე მხრივ კერძო კაპიტალ შორის, იმ აზრით, რომ საბჭოთა კაპიტალის მოქმედებას მისცეს მწყობრი ფორმები და ის ჩააყენოს ხელსაყრელ პირობებში.

თათბირი სათანადო ამოცანების და მშრომელი მასსის ყურადღებას მიაპყრობს მუშათა სახელმწიფოს წინაშე მდგარ მორიგ ეკონომიურ ამოცანებზე და აღძრავს მათ ხალისს და ენერგიას ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

მომავალ ეკონომიურ თათბირს ჩვენ ვაკუთნებთ დიდ მნიშვნელობას. მისი კომპეტენტური შემადგენლობა იმის თავდებია, რომ ის თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს.

სალამი რკინისგზელთა პროფკავშირს

დღეს, 10 თებერვალს სრულდება სრულიად რუსეთის რკინისგზელთა რევოლიუციონურ პროფკავშირების არსებობის ხუთი წლის თავი.

რკინისგზელი ყოველთვის იდგა რევოლიუციონურ პროლეტარიატის პირველ რიგებში. რკინისგზელებს, დარაზმულთ თავიანთ კავშირებში, დიდი ღვაწლი მიუძღვით მშრომელთა ბატონობის განმტკიცების და სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

რკინისგზელთა და წითელ პროფკავშირის მოღვაწეობა უმთავრესად ორი მხრით არის საყურადღებო.

კავშირი თავგანწირულ მუშაობას ეწეოდა სარკინისგზო ტრანსპორტის დაცვასა და გაუმჯობესობაში.

სამოქალაქო ომის პროცესში ჩვენი რკინის გზა თანდათან ინგრეოდა. საბჭოთა ხელისუფლებას ემუქრებოდა სახელმწიფოს ერთი ნაწილის მოწყვეტა მეორისაგან, ფრიად გაძნელებული იყო სურსათ-სანოვაგის გადაზიდვა და მიწოდება დამშეულ რაიონებისათვის, ჯარისათვის და სხ., დიდი გაჭირვებით ხდებოდა წითელი არმიის გადაყვან-გადმოყვანა რევოლიუციის მტრების შესამუსრავად.

წარმოუდგენლად ძნელი იყო ამ პირობებში მუშაობა რკინის გზებზე. რკინის გზელი მუშა ათასნაირ შევიწროებას და საშიშროებას განიცდიდა. მაგრამ ის მაინც მედგრად იდგა თავის სადარაჯოზე და პირნათლად ასრულებდა მუშათა სახელმწიფოს მიერ მაზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო ამოცანებს. რკინის გზელთა პროფკავშირმა შესძლო მათი მჭიდროდ დარაზმვა მძლავრ ორგანიზაციაში, მუშებში შრომის დისციპლინის შესაფერ სიმაღლეზე დაყენება, და ამით მან უდიდესი როლი ითამაშა ტრანსპორტის აღდგენის, ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების და რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

მაგრამ რკინისგზელი ასრულებდა არა მარტო სამსახურით დაკისრებულ ფუნქციონალურ ვალდებულებას, ის ამავე დროს იყო პროლეტარიატის არმიის ერთი მოწინავე რაზმთაგანი და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განმტკიცებაში. პროფკავშირმა დიდად შეუწყო ხელი ამ დარგის მუშების კლასობრივ გათვითცნობიერებას.

ამ ჟამად რკინისგზელთა გაერთიანება ერთი უდიდესი და უძლიერესი ორგანიზაციათაგანია, რომელიც მკვიდრი დასაყრდენია მშრომელთა დიქტატურის.

დღეს ეს კავშირი იხდის თავის არსებობის 5 წლის თავს. დღეს ის იგონებს თავის გმირულ თავგადასავალს ამ ხნის განმავლობაში. კავშირს სრული უფლება აქვს იამაყოს განვლილი ბრძოლით და გამარჯვებით. რკინისგზელთა კავშირი შემდეგშიც იდგომება მებრძოლ პროლეტარიატის ორგანიზაციათა მოწინავე რიგებში, საიმედო დამცველი იქნება მუშათა ინტერესების და მშრომელთა სახელმწიფოს ფრთხილი დარაჯი.

ჩვენ მივესალმებით კავშირს და ვუსურვებთ მას მომავალშიც ნაყოფიერ მუშაობას.

ბელგიის სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ რურის ოკუპაციას

(პუანკარეს მხარეში ამოუდგნენ).

10 იანვარს, ბელგიის პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიამ გამოაშკარავა თავისი პოზიცია რურის ოლქში ფრანგების შესვლის საკითხში. მინისტრმა ტენისმა დაასაბუთა ბელგიის ჯარების მონაწილეობა რურის ოლქის ოკუპაციაში. სოციალ-დემოკრატიულმა ორატორმა ვანდერველდემ თავის ვრცელ სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა: „როგორც ერთი კაცი ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ჩვენი უფლება ვალების მიღებაზე ისე წმინდაა, როგორც იტალიის და საფრანგეთის უფლება და ეს ვალები გერმანიამ უნდა გადაიხადოს. არა არის უფრო მძიმე პასუხისმგებლობა, ვიდრე გერმანიის მთავრობის პასუხისმგებლობა. გერმანიის მსხვილი მრეწველობა, ე. წ. მძიმე მრეწველობა, მუდამ წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიანობისათვის".

პარლამენტის სხდომის ერთი დღის შემდეგ გაიმართა ბელგიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საზოგადო კრება, რომელზედაც 3 ხმის უმრავლესობით (ერთმა თავი შეიკავა) მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც თუმცა შემცდარათ სთვლის „რეპარაციების შესრულების მისაღწევად", სამხედრო ოკუპაციის გატარებას, მაგრამ საჭიროთ მიაჩნია ერთა ლიგის ქენევის სხდომის დადგენილების ასრულება, რომლის პირველი მუხლი ამბობს:

„უმაღლესი საბჭო სამართლიანად და აუცილებლად სთვლის, რათა გერმანიამ შეიტანოს საკონტრიბუციო გადასახადები მის მიერ მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად".

ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა კამათი ამ რეზოლიუციის გამო და ამ კამათში გამოაშკარავდა მთელი სისხლის-მღვრელი სოციალ-დემოკრატიის შოვინიზმი და გამცემლობა.

პარტიის ცნობილმა ლიდერმა ლუი პიერომ განაცხადა: „ჩვენი პარტიის ერთი ნაწილი მწუხარებით აღნიშნავს, რომ გერმანიის სოციალისტებმა თითქმის არავითარი ზომები არ მიიღეს, რათა აეძულებიათ თავიანთი კაპიტალისტები გადაეხადათ საკონტრიბუციო გადასახადები საფრანგეთსა და ბელგიისათვის.

სოციალ-დემოკრატმა ჟორჟ-გუბენმა განაცხადა: „მე სავსებით ვეთანხმები ვანდერველდეს მიერ პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვას. მე ვწუხვარ, რომ გაზ. „ფორვერტსი" ურჩევს რურის ოლქის მუშებს გამოაცხადონ საპროტესტო გაფიცვა. („ნახევარი საათის გაფიცვა", რედაქციის შენიშვნა) გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ არავითარი ზომები არ მიიღო იმისთვის, რომ ხელი შეეშალა სტინესების გამდიდრებისათვის, იგი ქადაგობს გაფიცვებს, როდესაც საქმე ეხება საკონტრიბუციო გადასახადებს. გერმანია დამნაშავეა მსოფლიო ომის დაწყებაში. გერმანია ოთხი წელიწადი ზედი-ზედ დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდა. ეხლა მისგან მოითხოვენ კონტრიბუციას. ჩვენთვის საჭიროა ეს რეპარაციები. სოციალიზმი მარტო მშვიდობიანობას კი არ მოასწავებს, იგი მოასწავებს აგრეთვე სამართლიანობას".

ცნობილმა სოციალისტმა ლუიდე ბრუკერმა შემდეგი ქათინაური უძღვნა თავის თანამოძმეთ 2 ინტერნაციონალიდან.

„გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ 1914 წელში წინააღმდეგობა არ გაუწია ბელგიაზე თავდასხმას. მან არ შეაჩერა გერმანელების შემოსევა და შეიდემანის სახელი სამუდამოთ შერცხვენილია". (მქუხარე ტაში).

სოციალ-დემოკრატ ლეო-კოლლოს ძალიან ლმობიერად ეჩვენა ვანდერველდეს რეზოლიუცია, „ვინაიდან იგი შეიცავს საფრანგეთის გაკიცხვას". მე არ ვარ დარწმუნებული ომის შესაძლებლობაში, ცოტაოდენი ზედდაწოლაა საჭირო, რათა ვაიძულოთ გერმანია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. მე პაციფისტი ვარ, წინააღმდეგი ვარ ომის, მაგრამ თუ იგი დაიწყება, ვამჯობინებ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს.

რენე ბრანკარმა სთქვა: „თუ ჩვენ რამეს მოგვცემს რურის ოკუპაცია, მე მზადა ვარ ხელი მოვაწერო მის გატარების დეკრეტს. როდესაც მე ვიგონებ გერმანიის დანაშაულობას, ჩვენ ლტოლვილებს, ჩვენი ხალხის ყველა ტანჯვა-წამებას, მე არ მყოფნის გამბედაობა უარი განვაცხადო რურის ოლქის ოკუპაციის დაუშვებლობაზე, რომელიც ესოდენ მწუხარებას აყენებს მათ" (მოწონების ხმები)

ჟოზეფ ბოლონმა განაცხადა: „პუანკარე, როგორც სჩანს, ავანტიურისტულ მიზნებს ემსახურება, მაგრამ მე ღრმად მწამს საფრანგეთის ხალხის სალი გონიერება. ჩვენ გვაშინებს ის, რომ გერმანია თავს დაახწევს თავის სასჯელს, და მე ხმა-მაღლა ვაცხადებ, თუ ძალადობის პოლიტიკა ნაყოფს არ გამოიღებს, ეს მოხდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძალიან გვიან იქნა ხმარებული. გერმანელებს, სამწუხაროთ, ჭკუა ვერ ასწავლა მიმდინარე ამბებმა. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეპარაციები ხმარდება „უმციresტა ამა ქვეყნისათა".

ძველმა ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა დესტრემ, რომელიც დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბელგიის მინისტრი იყო, განაცხადა: „მთელმა ქვეყანამ აღიარა რეპარაციების სამართლიანობა (!) ესსენი უინციდენტოთ იქნა დაკავებული. რა ზომები უნდა მიეღო ბელგიას, როდესაც საფრანგეთმა ოკუპაცია განიზრახა? მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავრობა ბრძნულად მოიქცა, როდესაც ხელი-ხელ ჩაკიდებული წავიდა საფრანგეთთან. ჩვენ არ უნდა ვსთქვათ უარი ჩვენ ინტერესებზე.

ამბობენ, რომ ძალადობის პოლიტიკა უნაყოფოა. მაგრამ ბელგიამ უკვე მიიღო გერმანიისაგან 4,4 მილიარდი ფრანკი, მთელი ოკუპაცია დაუჯდა ბელგიას 700 მილიონი, მაშასადამე ჩვენი პოლიტიკა სწორი იყო".

აი, ბელგიის სოციალ-დემოკრატიის ხმა, მახლობელ ომის საფრთხის წინაშე. და ეს სოციალისტ-პუანკარისტები შეადგენენ ძლევა-მოსილებით მეორე პარტიას, 2-რე ინტერნაციონალის პარტიას. ისინი ხომ პარტიული **ძმები** არიან გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა.

ჰაინც ნოიმან.

ომის და იმპერიალიზმის წინა ღამეს

საფრანგეთის ცენტრალური მოქმედების კომიტეტის მოწოდება საფრანგეთის პროლეტარიატისადმი

მუშებო!

ყოველ ახალ ძალადობის დროს, რომელსაც ამზადებს ბურჟუაზია, იგი აწყობს შეთქმულებას და ციხეში ჰყრის მეამბოხე-მუშებს. ომის მოტრფიალე—პუანკარე ერთგული დარჩა ამ ტრადიციისა. ახალი მოჩვენებითი შეთქმულება ემსახურებოდა მხოლოდ ერთ მიზანს: დაეფარა საფრანგეთის მუშებისათვის რურის ოკუპაციის ნამდვილი აზრი.

რურის ოკუპაცია, აი ნამდვილი შეთქმულება, რომელიც ნაკარნახევია საფრანგეთის ფლოტის ინდუსტრიის კომიტეტის მაგნატების მიერ, მიმართულია როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთის მუშების წინააღმდეგ. პუანკარე—არის მისი აღმასრულებელი ორგანო.

რეპარაციები მხოლოდ საბაბია. რურის ოკუპაცია არაფერს არ მისცემს ქვეყანას. ეს იცის პუანკარემ, ეს მან თითონ განაცხადა დეპუტატთა პალატაში. ის ადიდებს ყველა გადასახადებს 20 პროცენტით, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ მისი უკანასკნელი ოკუპაცია ერთ გროშსაც არ შემატებს საფრანგეთის ხაზინას.

ფოლადის ინდუსტრიის კომიტეტს სწყურია რურის ოლქის დაკავება. მას უკვე აქვს ლოტარინგიის რკინის მადანი და იმ დღეს, როდესაც ხელში ჩაიგდებს რურის ნახშირს ის მოიპოვებს გეგემონიას ფოლადის ბაზარზე.

გერმანიის მსხვილი მრეწველნი სტინესები და ტისენები თითქმის მზადაა შეუთანხმდეს მას. მათ არ ეშინიათ ოკუპაციის, იგი საშიშია მხოლოდ მუშებისათვის.

საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალისტები ცხოვრებაში გაატარებენ თავიანთ შეთანხმებას, ხოლო ორივე სახელმწიფოს პროლეტარიატს მოუხდება მთელი ხარჯების თავის ზურგზე გადატანა.

მეტალურგიის მრეწველნი და მაღაროების მეპატრონეები გამოიყენებენ გერმანიის მუშების კონკურენციას თავისი სარგებლიანობისათვის, რათა კიდევ უფრო მეტად შეავიწროვონ საფრანგეთის მუშები.

და ხელახლა დაიწყებენ ისინი კამპანიას ხელფასის წინააღმდეგ, ხელახლა მოინდომებენ ხელფასის 10 პრ. შემცირებას, რაც იქნება შემდეგი შემცირების წინამორბედი. მათ შემოტევას 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ ექნება დაუძლეველი ძალა.

საფრანგეთის მუშავ!

თუ შენ ამ ამბებს არ გამოეხმაურე, ხვალ შენც იგივე ბედი მოგელის რაც გერმანიის მუშას. მისი სიღატაკე, შენი სიღატაკე იქნება. როგორც ის, ისე შენც იმავე მდგომარეობაში ჩავარდები, როდესაც გაჭირვება შეასუსტებს შენ ძალას და გააცამტვერებს შენს სახლს.

ხოლო ამავე დროს საფრანგეთის და გერმანიის სტინესები კიდევ უფრო გამდიდრდებიან.

კაპიტალისტური პრესა, რომელიც ავრცელებს ყალბ ცნობებს ყოველ დილით მილიონ ეგზემპლიარად, სინამდვილეს გიფარავს შენ.

იმ მოქალაქეებმა, რომელნიც მთავრობამ ჩაჰყარა ციხეში, ჩაიდინეს დანაშაული ამჟღავნებდენ რა ამ სიყალბეს და მოგიწოდებდენ შენ არსებობისათვის ბრძოლისაკენ. მათი დანაშაული მდგომარეობს კიდევ იმაში რომ ისინი გაერთიანდენ გერმანიის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის და ჩეხო-სლოვაკიის მუშებთან საერთო ბრძოლის საწარმოებლად.

მარკიზ ლიუბერზაკს შეუძლია მიიღოს გერმანიის სტინესი. მას შეუძლია აწარმოვოს მასთან მოლაპარაკება და მთავრობა დაამტკიცებს ამ მოლაპარაკებას.

მაგრამ თუ საფრანგეთის მუშა აწარმოებს მოლაპარაკებას გერმანიის მუშასთან, ეს მძიმე დანაშაულად ითვლება და სიცრუის დიდი პრესა ამას სახელმწიფოებრივ ღალატად ნათლავს.

გერმანიის კომუნისტებმა, რომლებსაც შეუკავშირდენ ციხეებში მყოფი ჩვენი ამხანაგები, პირველად გამოაშკარავეს გერმანიის იმპერიალიზმის დანაშაული. არა ისინი აწარმოებენ საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანიას, მათ, ისევე როგორც ჩვენ, აქვთ ერთი მიზანი: დაჩაგრულ მუშათა კლასის დაცვა.

პუანკარე ამტკიცებს, რომ რურის ოლქის დაკავება კიდევ არ ნიშნავს ომს.

მაგრამ ოკუპაციამ შექმნა საშიში მდგომარეობა. გუშინდელი მოკავშირეები დღეს მტრები გახდენ. ბრიტანეთის იმპერიალიზმი დღეიდან მტრულ განწყობილებაშია საფრანგეთის ფოლადის ჩამომსხმელ კომიტეტის იმპერიალიზმისადმი.

ეს კიდევ არ არის ომი, მაგრამ ეს საფრთხეა ომის, რომელიც დასტრიალებს მსოფლიოს.

საფრანგეთის მუშებო და გლეხებო! მოეწყო ჩვენი მომქმედი კომიტეტი, რათა დაგიფაროს თქვენ ომის ქაოსისა და საშინელებისაგან.

ის ეხლახან შეუდგა თავის მუშაობას, მაგრამ ბურჟუაზიას უკვე ეშინია მისი.

განამტკიცეთ ის თქვენი დახმარებით და გამოეხმაურეთ მის მოწოდებას.

ჩვენი პარტიის მომქმედი კომიტეტები მოეწყობა საფრანგეთის ყველა ქალაქებში. მათ უნდა გააშუქონ პოლიტიკური მდგომარეობა. ისინი არ დაერიდებიან ბურჟუაზიის შურისძიებას.

ისინი სრული გაბედულობით უნდა ემზადონ იმ ამოცანების და ლოზუნგების განხორციელებისათვის, რომლებიც დაკისრებული ექნებათ მათ.

შორს არ არის ის დრო, როდესაც სრული გაერთიანებით და სრული დისციპლინით თვითეული თქვენგანი შეგვიერთდება ბრძოლაში.

ძირს ომის გამომწვევი იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს მშრომელების საერთაშორისო ერთობას!

ცენტრალური მომქმედი კომიტეტი.
პარიზი, 14 იანვ. 1923.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ინგლისის საოკუპაციო ზონის დაშლა.

ჰანოვერი. 8 თებერვალი. **საფრანგეთის საკონტროლო ნაწილებმა ელბერფელდის და ბარმენის სამხრეთით და კელნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისის საოკუპაციო ზონაც შემოფარგლეს. გაფართოვებულია ზემო რეინის საოკუპაციო ზონა. მისვლა-მოსვლის იზოლიაციამ რეინის-გზის სადგურების შეზღუდვა და გზის კარნებისა და წყალსადენის კრიზისი გამოიწვია.**

იტალიელი ინჟინერები წავიდნენ მიუხედავათ ფრანგების ცდისა.

ჰანოვერი. 8 თებერვალი. იტალიელი ინჟინერები ემგზავრებიან ესსენიდან. გამგზავრების მიზეზები არავინ იცის. საფრანგეთის საინჟინერო შტაბის უფროსი კოსტე განსაკუთრებული პრივილეგიების დათმობის საშვალებით ცდილობდა დაეტოვებინა ისინი.

იტალია მხარს არ უჭერს საფრანგეთს.

ჰანოვერი. 8 თებერვალი. **რომის ხელმძღვანელ წრეებში ამბობენ, რომ იტალია მომავალში არ დაუჭერს მხარს საფრანგეთს რურის საკითხში და რომ იტალია შეეცდება ინგლისის ამ საკითხში ჩარევის გამოწვევას.**

არც აკრძალვა შეიძლება, არც დაშვება.

ჰანოვერი. 9 თებერვალი. საფრანგეთის ოფიციოზი „კომუნიკე", ეხება რა საკითხს რეიხსკანცლერის მოგზაურობის შესახებ, ხაზს უსვამს, რომ ამგვარი მოგზაურობა დაუშვებელია, მაგრამ ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რათა ეს არ განმეორდეს.

კიდევ ერთი ნოტა.

ჰანოვერი. გერმანიის მთავრობამ გადასცა საფრანგეთს მთავრობის საპროტესტო ნოტა ბადენის დაკავების წინააღმდეგ. ნოტა ამტკიცებს, რომ ბადენის დაკავება არის ახალი ძალადობის აქტი, რომელიც ემყარება გერმანიის უმწეო მდგომარეობაზე.

სადაც ფეხი შედგეს ოკუპანტებმა.

ჰანოვერი. 9 თებერვალი. ბადენში ოფფენბურგში მდგომარეობა მწვავდება. თივის, ჩალის, საწოლების, ბინების და სხვების რეკვიზიციის გამო მცხოვრებლების უკმაყოფილება იზრდება. სიძვირე უზომოდ მატულობს. საოკუპაციო ჯარების ოფიცრები და ჯარისკაცები ეწევიან ლოთობას. ადგილი აქვს მუშების საყოველთაო გაფიცვას.

შვეიცარია აღელვებულია.

ჰანოვერი. 9 თებერვალი. ბერნიდან იტყობინებიან, რომ შვეიცარიის საკავშირო საბჭოში ირჩეოდა საკითხი რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შვეიცარიის ეკონომიურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ნახშირის მიწოდების საქმეზე.

ოკუპანტები წინ მიიწევენ.

ჰანოვერი. 9 თებერვალი. ფრანგები განაგრძობენ წინსვლას ელბერფელდისაკენ და იკავებენ გერმანიის ორ ახალ პუნქტს.

რურის ოლქში ამზადებენ ახალ-ახალ ბინებს საფრანგეთის ჯარებისათვის.

გრძელდება როგორც მოხელეების, ისე მცხოვრებლების სამსახურიდან დათხოვა და გადასახლება.

ახალგაზრდობის დაპატიმრება.

ჰანოვერი. 9 თებერვალი. საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ ტისენის პროცესის შემდეგ გამართულ დემონსტრაციების მონაწილეებს მიუსაჯა ციხე 2 კვირიდან 4 თვემდე, დასჯილები ახალგაზრდები არიან 18 წლის ჰასაკამდე.

„უცვლელად".

ბორდო. 9 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ მდგომარეობა რურში უცვლელია.

მთელ საფრანგეთის და ბელგიის ზონაში რკინის გზელების საერთო გაფიცვა გრძელდება. საფრანგეთში იგზავნება რამოდენიმე ვაგონი ნახშირი.

„ყველაფერი მშვიდობიანობისათვის".

ბორდო. 9 თებერვალი. „ინტრანსიჟან"-ი შემდეგნაირად აშუქებს ფრანგების და ბელგიელების მიერ რურის დაკავების მიზანს. პუანკარემ, რომელსაც მხარს უჭერს საფრანგეთის პარლამენტი, გადასწყვიტა შესვლა საოკუპაციო ზონაში მხოლოდ მშვიდობიანობის მოსაპოვებლად.

სობსტრუქციო გაფიცვა.

რომი. 9 თებერვალი. ბადენის რაიონში გრძელდება გერმანიის რკინის გზელების სობსტრუქციო გაფიცვა. ნახშირით დატვირთული მატარებლები, რომლებიც მიდიოდენ იტალიაში, შეაჩერეს ოფენბურგის სადგურთან.

მოსკოვი. 9 თებერვალი. გერმანიის საოკუპაციო ოლქის რკინის გზელები განაგრძობენ გაფიცვას.

ნახშირის გატანა.

მოსკოვი. 9 თებერვალი. ფრანგებმა საბოლოოდ აკრძალეს რურის ოლქიდან ნახშირის, კოქსის და სხვა პროდუქტების გატანა, რაც ძალიან აფერხებს გერმანიაში სალებავის დამზადების წარმოებას.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 9 თებერვალი. საფრანგეთის სარდლობამ აკრძალა რურის ოლქიდან გერმანიაში რკინის, ფოლადის, რკინის მადნეულების, თუჯის და სხვა ლითონების ნაწარმოების გატანა.

ინგლისის პოზიცია.

მოსკოვი. 9 თებერვალი. საფრანგეთის მთავრობა შეეკითხა ინგლისის მთავრობას, თუ, როგორ პოზიციას დაიჭერს ინგლისი, რომ საერთო გაფიცვა რეინის ოლქში შეეხოს ინგლისის საოკუპაციო ზონას. ინგლისის პასუხი ჯერ-ხანობით გამოურკვეველია.

ბრიტანეთის კაბინეტში არის უთანხმოება გერმანიის საოკუპაციო ოლქიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის გამო. კაბინეტის ნაწილი ბონარ ლოუს მეთაურობით, ბერლინში ინგლისის წარმომადგენელის მოხსენების ზეგავლენით, მხარს უჭერს ევაკუაციას. მეორე ნაწილი, კერზონის მეთაურობით, ევაკუაციის წინააღმდეგია, რათა არ გართულდეს მდგომარეობა საფრანგეთთან.

ესვრიან ყველას, ვინც მოუახლოვდებათ.

ჰანოვერი. 9 თებ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ უბრძანა თავის პატრულებს, გაფრთხილების შემდეგ ესროლონ ყველას, ვინც მიუახლოვდება რკინის გზის სახელოსნოს. ამ ბრძანების პირველი მსხვერპლი შეიქნა მაინცის საამშენებლო ფირმის მემანქანე, რომელიც მოკლულ იქნა საფრანგეთის ჯარის კაცების მიერ.

საბაჟოების მთავარი ბიუროს დაკავება.

პარიზი. 9 თებ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიკავა დიუსბურგის სამუშაოების მთავარი ბიურო. მომბერგში აკრძალეს ნახშირით დატვირთული გემის გაგზავნა გერმანიაში.

პოლიციის დაპატიმრება.

ლონდონი. 9 თებერვალი. „დეილი მეილი"-ს სპეციალური კორესპონდენტი დიუსელდორფიდან იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობის ბრძანების შედეგად, წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, რეკლინკაუზენში დაატუსაღეს მთელი პოლიცია, რამაც ქალაქში უწესობა გამოიწვია. გამოცხადებულია გაფიცვა 21 საათი. ქალაქის ქუჩებში დადიან პატრულების ჯგუფები. ხუთშაბათს ქალაქის ქუჩები გაივსო ხალხით, რომელიც ესროდა ფრანგებს. კავალერია და პატრულები ცდილობდენ ხალხის დაშლას. ესსენი ამ ჟამად სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ გერმანიას, მთელს საოკუპაციო ზონაში მუშებს გადაწყვეტილი აქვთ არ განაახლონ მუშაობა.

სტინესი მზად არის იბრძოლოს ბოლომდის.

ლიფილდი, 9 თებერვ. კითხვაზე, ფიქრობს თუ არა გერმანია მოლაპარაკების დაწყებას, გუგო სტინესმა განაცხადა: „ჩვენთვის არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ვიბრძოლოთ ბოლომდის.

ოკუპაციის შედეგები ნოლს უდრის.

ნაუენი, 9 თებერვ. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ რურიდან ჩამოსულ ლე ტროკეს მოხსენებიდან სჩანს, რომ რურის ოკუპაციის შედეგები ჯერ-ჯერობით ნოლს უდრის.

რურის გარშემო

ბოიკოტი.

მოსკოვი. 9 თებერვ. დორტმუნდელი და ბოხუმელი ვაჭრები საოკუპაციო ჯარს საქონელს არ ყიდის.

გერმანელი მუშების ფრანგი და ბელგიელი მუშებით შეცვლა.

მოსკოვი. 9 თებერვ. ამ ჟამად 6000 გერმანელი რკინის გზის მუშა შეცვლილია ფრანგებით და ბელგიელებით.

მოსკოვი. 9 თებერვ. „დეილი ნიუზი"-ს დიუსელდორფის კორესპონდენტი იუწყება რურის ოლქში სანოვაგის ფასების დიდი ზრდის შესახებ. განსაკუთრებულ შევიწროებას განიცდის ბავშვები რძის უქონლობის გამო. 450.000 მოსახლეობისათვის ყოველდღიურათ არის მხოლოდ 20.000 ლიტრა რძე.

რურის და საფრანგეთის სოციალისტები.

მოსკოვი. 9 თებერვ. სოციალისტების კონგრესმა ლილში მიიღო დელეგატ ორონის წინადადება, რომლის თანახმად კონგრესმა უნდა მიმართოს მოწოდებით ერთა ლიგას და შეერთებულ შტატებისა და საფრანგეთის მთავრობას. მოწოდებაში აღნიშნული იქნება, რომ რურის ოკუპაცია საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა და ახალი ომის საბაბია.

გერმანიის ამბები

იბრძვიან თავის ნებით და არა იძულებით.

ჰანოვერი. 8 თებერვ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა 8 იანვარს თავის სხდომაზე გამოიტანა პროტესტი საფრანგეთის მთავრობის განცხადების გამო, თითქოს რურის ოლქის მუშა-მოსამსახურეებისა და მოხელეების წინააღმდეგობა გამოწვეულია მხოლოდ გერმანიის მთავრობის განკარგულებებით. **ყველა იბრძვის თავისი ადამიანური ღირსებისა და თავისუფლებისათვის მკაცრ სამხედრო ძალადობის წინააღმდეგ.**

კუნომ, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშებში გაბატონებულია წინააღმდეგობის უფრო შორს გაგრძელების წადილი. გერმანიის მთავრობის მიზანია—ხელი შეუწყოს საოკუპაციო ოლქის მცხოვრებთა სიმტკიცეს და ერთიანობას. წინააღმდეგობა კი უშუალოთ გამოდის ხალხისაგან, რომელსაც თვისი ადამიანური ღირსების შეგნების გამო არ სურს დაემორჩილოს მუქარას. საფრანგეთის მთელი პოლიტიკა, დროებითი ზავიდან დაწყებული არის ძალადობისა და მუქარის პოლიტიკა და მისწრაფება ხალხის დასამხობათ, მაშინ როდესაც უკანასკნელი ცდილობს აღადგინოს თავისი მრეწველობა.

კუნოს აზრი კონტრიბუციის შესახებ.

ჰანოვერი. 8 თებერვ. პრესის წარმომადგენელთან საუბარში კუნომ აღნიშნა, რომ გერმანიის მთელი გადასახადები კონტრიბუციის დასაფარავათ 45 მილიარდ ოქროს მარკას უდრის. ამ თანხიდან, მიუხედავათ გერმანიის მრეწველობის საშინელი დაცემისა, მოკავშირეებს მიეცა 1 ნახევარი მილიარდი მარკა ოქროთი. თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, რურის ოკუპაცია და მასთან დაკავშირებული რეპრესიები არის ყოველ გვარი სამართლიანობის შეგნების შელახვა და პუანკარეს განცხადება, თითქოს საფრანგეთის თავდასხმა რეინის ოლქის მრეწველობაზე 50.000 ჯარის კაცის საშუალებით სხვა არაფერია გარდა ზავის საქმისა, მხოლოდ დაცინვაა.

ლოზანის კონფერენცია

განხეთქილების შემდეგ.

მოსკოვი. 9 თებ. ოფიციალურათ გამოცხადებულია კონფერენციის გადადება. მოლაპარაკების შეწყვეტამდე ორივე მხარე დათმობაზე წავიდნენ. ოსმალეთმა მიიღო დროებითი შეთანხმება, დაუთმო ზოგიერთი პრივილეგიები უცხოელებს, უარს ამბობს გალიპოლში თავის გარნიზონის ყოლაზე. სავაჭრო პრივილეგიები დათმობილი იქნება მაშინ, თუ კაპიტულიაცია გაუქმდება.

მეორეს მხრით მოკავშირეები დათანხმდენ იყოლიონ უცხოელი გემები ოსმალეთის ზღვებში, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ამავე დროს საბერძნეთში სამხედრო მზადება სწარმოებს.

რუსეთ და სომხეთის საკითხი.

მოსკოვი, 9 თებ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისაგან. ამხ. ჩიჩერინის 1923 წ. 26 იანვრის წერილის თარგმანი საერთაშორისო სომხეთის ლიგის თავმჯდომარის მიმართ: „საინტერესო ბაასის დროს, რომელიც მე მქონდა თქვენთან და სომხეთის ლიგის დელეგატებთან, მე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა, რომ ლოზანის კონფერენციაზე, რუსეთი, უკრაინა და საქართველო მოწვეულნი იყვენ სომხეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლებას მიუხედავათ იმისა, რომ სწორეთ. ამათი მონაწილეობა ხელს შეუწყობდა ამ საკითხის სასურველათ გადაწყვეტას. მე პატივი მაქვს ეხლა გაცნობოთ, რომ რუსეთის და უკრაინის მთავრობას მხედველობაში აქვს დასახლოს თავის ტერიტორიაზე სომხეთის ლტოლვილთა დიდი ნაწილი, რომლის რიცხვი წინდაწინ იქნება განსაზღვრული. დაწვრილებით ეს საკითხი განხილულ უნდა იქნას ერთის მხრით სომხებისა და, მეორეს მხრით, ამ მთავრობათა წარმომადგენლების მიერ. გთხოვთ აუწყოთ ეს ცნობა დაინტერესებულ წრეებს და მიიღოთ ჩემგან და სხვა“. ხელმოწერილია—ჩიჩერინი.

ასეთივე ნოტა გაეგზავნა ლოზანის კონფერენციის თავმჯდომარეს.

მოსკოვი, 9 თებ. ინგლისის მთავრობის წინადადებით, ფრანგ დელეგატ ბომპარის საშუალებით მოკავშირეებმა მიმართეს ისმეტ-ფაშას წინადადებით, თუ უკანასკნელს ხელშეკრულების ხელის მოწერის განზრახვა აქვს, წარუდგინოს მოკავშირეებს წერილობით თავისი პირობები. ისმეტ-ფაშამ უპასუხა, რომ ოსმალეთის პირობები მის მიერ უკვე წარდგენილი იყო კომისიის 4 თებერვლის სხდომაზე და ვერავითარ წინადადებას ანგორის მთავრობის უსანქციოთ და ნებადაურთველად ვერ წარადგენს.

ახლო აღმოსავლეთში

რაუფ ბეის მოხსენება ლოზანას კონფერენციის შესახებ.

ანგორა, 1 თებერვ. რაუფ-ბეი გამოვიდა მეჯლისში მოკლე მოხსენებით ლოზანას კონფერენციის შესახებ. სხვათა შორის მან სთქვა: „ინსტრუქცია, რომელიც მიეცათ ჩვენს დელეგატებს, ნათელი და აშკარაა. არც მთავრობა, არც დელეგაცია არ ფიქრობენ ამ ინსტრუქციის შეცვლას. დელეგაცია ყოველივე საშუალებით იცავდა ერის პატივს და დამოუკიდებლობას. ჩვენი მტრები მიგვითითებენ საფრთხეზე, ფიქრობდენ რა ამით ჩვენს დაშინებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავს დაანებებენ იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდენ უკანასკნელ დღეებში. ჩვენმა მტრებმა მიგვიწვიეს ჩვენ კონფერენციაზე და ჩვენ, გვსურდა რა მშვიდობიანობა, დავთანხმდით. ჩვენ მივიღეთ მათ მიერ შედგენილი პროგრამა. თუ ჩვენი მტრები ამას ჩვენ სისუსტეთ სთვლიან, ისინი ძლიერ სცდებიან. ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში და გულ დამშვიდებით მოველით შედეგებს. დასასრულ რაუფ-ბეიმ სთქვა: „ჩვენი ერი და არმია სრულიად დარწმუნებულია თავის ძალაში. ჩვენ მშვიდობის მოყვარენი ვართ, მაგრამ თუ ჩვენს მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ, ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვიხსნათ თავიდგან ყოველგვარი პასუხისმგებლობა. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და ყოველთვის სადარაჯოზე ვიყოთ მის დასაცავად“. რაუფ-ბეის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სრულ ნდობას უცხადებს ისმეტ-ფაშას იმ სიმტკიცის გამო, რომელიც მან გამოიჩინა ერის ინტერესების დაცვაში.

პრესის აზრი.

ანგორა. 4 თებერვალი. ანგორის პრესის მოწინავე წერილები ეხება საფრანგეთის უკანასკნელ გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტი ულტიმატიური ხასიათის არ არის. გაზეთი „ენი-გიუნი“ ამბობს, რომ საფრანგეთი აქამდე მიჰყვებოდა ინგლისს, ეხლა კი, როგორც სჩანს, ის ინგლისს შორდება. ჩვენთვის წარმოდგენილი პროექტი არის ინგლისელების უკანასკნელი სიტყვა. ის არ იძლევა ნიადაგს ახალ მოლაპარაკებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მას უარვყოფთ, ომი აუცილებელი ხდება. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, საფრანგეთმა გადასწყვიტა, რომ საჭიროა კიდევ დათმობა. მუდანიის უკანასკნელი ამბები ადასტურებენ ჩვენს აზრს, რომ სანამ საფრანგეთი არ იცნობს ჩვენს თვალსაზრისს საფინანსო და იურიდიულ საკითხებში, საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოებიდან არ უნდა მოველოდეთ მოლაპარაკების მსვლელობის შეცვლას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთი მოკავშირეებს შორის პირველი, დასდებს რა ხელშეკრულებას ანგორასთან, წავა იმავე გზით და ხელს მოაწერს საბოლოო ზავს.

მუსტაფა ქემალი სმირნაში.

ანგორა. 9 თებერვალი. მუსტაფა ქემალმა მიტინგზე სმირნაში თავის სიტყვაში სხვათაშორის სთქვა: „ძველი სულთანები ატარებდენ პანისლამისტურ პოლიტიკას. ამან გამოიწვია უდიდესი უბედურება მთელი ოსმალეთისათვის და ეხლანდელი ოსმალეთის მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ უარყოფს ამ პოლიტიკას. შეეხო რა რეაქციის შემოტევას, მუსტაფა-ქემალმა სთქვა: „ისინი, ვინც მოინდომებენ ხალხის წაყვანას რეაქციისაკენ, უმოწყალოთ იქნებიან დასჯილი. ოსმალეთის და დასავლეთ სახელმწიფოების ურთი-ერთობის შესახებ მან აღნიშნა, რომ დასავლეთ სახელმწიფოები განაგრძობენ მკაცრ პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ და მანამ მჩაგვრელები სიმკაცრეს იჩენენ, ჩვენ იძულებული ვართ დავრჩეთ შურის მაძიებელნი. საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ანტანტამ წარმოგვიდგინა ჩვენ, არ შეიძლება მიღებულ იქნეს. ჩვენთვის უმჯობესია დავიღუპოთ სახელიანად და პატიოსნად ეხლა, ვინემ მონებად დავრჩეთ ათ წლობით. რუსეთ-ანგორის ურთი-ერთობის შესახებ ქემალმა სთქვა: „ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან მეგობრულია და გულითადი. ის დაფუძნებულია მტკიცე პრინციპებზე და დღითი დღე მტკიცდება“.

სმირნა.

ბორდო. 9 თებერვალი. საფრანგეთის და ბრიტანეთის მთავრობებმა გადასწყვიტეს უარით უპასუხონ ოსმალეთის მოთხოვნილებას უცხოეთის გემების სმირნიდან გასვლის შესახებ. გემები აღჭურვილი არიან უფლებით სროლით უპასუხონ, თუ თავდასხმას ექნა ადგილი. „დეილი ტელეგრაფი“ და „დეილი ნიუზი“ იგონებენ, რომ ამერიკული ხელშეკრულება არ კრძალვენ მოკავშირეთა გემების სმირნის ნავთსადგურში ყოფნას.

პარიზი. 9 თებერვალი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის გენერალი ჩავიდა სმირნაში და ინახულა ოსმალეთის სამხედრო კომენდანტი და აცნობა, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს არ დაუშვან შეზღუდვა, რომელსაც მოითხოვს ოსმალეთი სამხედრო გემების ოსმალეთის ნავთსადგურში შესვლის შესახებ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერამდე.

მოსული.

ნაუენი. 9 თებერვალი. რამდენიმე ბრიტანელი ბატალიონი გადასხეს ბაორზე მოსულზე გამგზავრების მიზნით.

ისმეტ-ფაშის ანგორაში გამგზავრება.

მოსკოვი. 9 თებერვალი. 7 თებერვალს ისმეტ-ფაშა გაემგზავრა ანგორაში. წასვლისას განაცხადა, რომ მისი აზრით კონფერენცია ჯერ არ დასრულებულა, მხოლოდ დროებით გადაიდვა. მან სთქვა, რომ იგი მზათ არის დაბრუნდეს ანგორაში, თუ მოლაპარაკება განახლდება.

ანგორა და კონფერენციის ჩაშლა.

მოსკოვი. 9 თებერვალი. ამერიკულ კორესპოდენტები კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ კონფერენციის ჩაშლის შესახებ ცნობამ ოსმალურ წრეებში ძლიერ შთაბეჭდილება მოახდინა. ანგორის პრესა აქვეყნებს საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ სამტროდ განწყობილ წერილებს. ანგორის ოფიციალური წრეები კონფერენციის ჩაშლას საფრანგეთის პოლიტიკის შედეგათ სთვლიან, ამავე დროს მიუთითებენ, რომ ფრანგების შეურიგებლობა ინგლისელთა ინტრიგების შედეგია.

საკითხი მემელის შესახებ

ელჩთა კონფერენცია.

ჰანოვერი. 9 თებერვ. ელჩების კონფერენციაზე პარიზში ხელახლა იყო განხილული საკითხი მემელის შესახებ, რადგან ლიტვას მთავრობისადმი ულტიმატუმის ჩაბარების შემდეგ 7 დღემ განვლო. ფიქრობენ, რომ ლიტვას მთავრობას ხელახლა მიეცემა პასუხისათვის მცირე ვადა, რომლის შემდეგ მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

ლიტვის მთავრობის ბრძანება.

პარიზი. 9 იანვ. ლიტვის მთავრობის ბრძანების თანახმად ლიტველებმა 9 თებერვლამდე უნდა გაანთავისუფლონ მემელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე დადებული იქნება „სანქციები“.

მდგომარეობა იტალიაში

კომუნისტების დატუსაღება

ჰანოვერი. 9 თებერვ. მთელს იტალიაში გრძელდება კომუნისტებზე დევნა. ერთს რაიონში დატუსაღებულია 227 კომუნისტი. დატუსაღება სწარმოებს ნეაპოლ, ბოლონია, პერუჯისა და ვენეციაში.

იტალიის პარლამენტში

რომი. 9 თებერვალ. ვაშინგტონის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ განხილულ იქნა: სავაჭრო ხელშეკრულება საფრანგეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სანმარგარიტას ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიასთან უკანასკნელი ხელშეკრულება წარდგენილ იყო პარლამენტში მუსოლინის შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები სწორეთ არ ესმოდათ მხარეებს. ასე, მაგალითად, ბელგრადში შეიქნა არასწორი შეხედულება იმაზე, რომ თითქო მუსოლინის გაეცხადებიოს, რომ იტალია პირველათ გაიყვანს თავის ჯარებს. ეხლა კი სამხრეთ სლავიასთან სრულ შეთანხმებას მივაღწიეთ.

სხვადასხვა ამბები

იტალია და საფრანგეთი.

პარიზი. 9 თებერვ. რომიდან იუწყებიან, რომ იტალიის პარლამენტმა მიიღო იტალიისა და საფრანგეთის კონვენცია.

საბერძნეთი.

პარიზი. 9 თებერვ. საპარლამენტო არჩევნები საბერძნეთში დაიწყება საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

საერთაშორისო სასამართლო.

პარიზი. 9 თებერვ. საერთაშორისო სასამართლომ ჰააგაში ინგლისის და საფრანგეთის დავა მაროკოსა და ტუნისში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ, ინგლისის სასარგებლოთ გადასწყვიტა, ეს პირველი საქმეა, რომელიც გადასწყვიტა სასამართლომ დიდ სახელმწიფოთა მიმართ.

უკმაყოფილება პუანკარეთი,

ჰანოვერი. 9 თებერვალი. პარიზიდან იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა ქვე-კომისიაში ტარდიე და ბრიანი გამოვიდნენ პუანკარეს წინააღმდეგ. ხანგრძლივ კამათის შესახებ კომისიამ დაადგინა წინადადება მიეცეს პუანკარეს, რათა წარუდგინოს კომისიას განმარტებები რურის მდგომარეობის, მემელის ამბების და აგრეთვე ლოზანის კონფერენციის შესახებ.

კრედიტი პოლონეთს.

ნაუენი, 9 თებ. დეპუტატთა პალატამ პარიზში დაადასტურა 300 მილიონი ფრანკის კრედიტი პოლონეთისათვის.

ფრანგ მემალაროების გაფიცვა.

ბელგრადი, 9 თებ. მემალაროეთა და მელითონეთა ფრანგულ ფედერაციამ გადასწყვიტა 16 თებერვლიდან გამოაცხადოს საერთო გაფიცვა, რომლის მიზეზი სამუშაოს ხელფასის ნაკლებობა.

დუნაიზე.

რომი, 9 თებ. ტემპერატურის დროის შეუფერებელმა აწევამ გამოიწვია დუნაის სანაპირო ოლქებში დიდი წყალდიდობა, რომელსაც დიდი ზარალი და ადამიანის მრავალ რიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა.

გაფიცვა ნიუ-იორკში.

მოსკოვი, 9 თებ. ნიუ-იორკში გაიფიცა მზა-საცმელის 30,000 მუშა. ისინი მოითხოვენ 40 საათიან კვირას მუშაობას. 40,000 მუშამ, 10 000 მუშათა ბავშვების ჩარიცხვით, მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია ნიუ-იორკის ქუჩაზე.

ინგლისი და ავსტრია.

ბორდო, 9 თებ. ლონდონში ვენიდან ჩამოვიდა მისია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს დიდბრიტანიისა და ავსტრიის შორის კომერციულ ხელშეკრულების გამომუშავებაში. ხელშეკრულება გამომუშავებული იქნება ავსტრიისათვის ფრიად ხელსაყრელ პირობებში.

ინგლისი და ამერიკა.

პარიზი, 9 თებ. პრეზიდენტ გარდინგმა შეიტანა კონგრესში შეთანხმება, რომელიც დამუშავებული იყო ბრიტანეთის სახაზინოს კანცლერია და ამერიკის ვალების მომგვარებელ კომისიის მიერ, ბრიტანეთის ვალის ამერიკისადმი კონსოლიდაციის შესახებ. გარდინგმა დაახასიათა ეს შეთანხმება, როგორც პირველი ნაბიჯი ევროპის ვალების სიმძიმის შესამსუბუქებლათ.

მან სთხოვა კონგრესს არ დააყოვნოს ამ საკითხის გადაწყვეტა.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

საქონელი უცხოეთიდან.

მოსკოვი. 9 თებერ. უცხოეთიდან პეტროგრადში მიღებულია ელევატორის შემადგენელი ნაწილები, რომელიც შესრულებულია გერმანიის მიერ სასურსათო სახალხო კომისარიატის შეკვეთის თანახმად.

რეისი გერმანულ პორტებთან.

მოსკოვი, 9 თებერვალი. ბალტიის სახელმწიფო ზღვაოსნობა აწესებს გაზაფხულიდან გერმანულ პორტებთან საგემო რეისებს.

ბანდიტიზმთან ბრძოლა.

მოსკოვი. 9 თებ. როსტოვში შეიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ბანდიტთა ჯგუფის ცნობილი მეთაური დზიუბენკო, რომელსაც ეხება მთელი რიგი შეიარაღებული თავდასხმა და მკვლელობა.

კიევის რკინის გზელთა გამოსვლის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად.

მოსკოვი. 9 თებ. კიევის რკინის გზელთა ცენტრალურ რადის გამოსვლის წინააღმდეგ ხუთი წლის თავის აღსანიშნავად, კიევის რკინის გზელთა სახელოსნოებმა გამოუშვეს კაპიტალურ „რემონტი“-დან ორი ორთქლმავალი და ხუთი პულმანოვისებური ვაგონი, მზად არის ჰიდრო-ამწევი 3000 ფუთის. დღესასწაულის დროს, სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის გრამოტის გამოქვეყნების შემდეგ, რკინის გზელთა შტაბის წარმომადგენელს, რომელიც ხელმძღვანელობდა გამოსვლას, გადაეცა წითელი დროშა.

დახმარება რურის მუშებს.

მოსკოვი. 9 თებ. ხარკოვის ფინანსიურ დაწესებულებების იაჩეიკების მიერ შეგროვილია 5,000 მან. რურის მუშებისათვის გასაგზავნად.

პოდოლის აღმასკომმა დაადგინა ეპატრონოს რურის მუშების 200 დამშეულ ბავშს.

ხარკოვში, ქარხ. „ელექტრონის საერთო კომპანიის“ მუშების საერთო კრებამ დაადგინა გადასდოს რურის მუშების სასარგებლოდ ნამუშევარი ქირის ერთი პროცენტი.

პეტროგრად—სტოკჰოლმი.

მოსკოვი. 9 თებ. პეტროგრადში ჩამოსულ შვეციის ფინანსისტებმა დაიწყეს მოლაპარაკება, რათა მოეწყოს გაზაფხულიდან პეტროგრადსა და სტოკჰოლმს შორის გემების რეგულიარული მიმოსვლა.

ტრესტები

მოსკოვი, 9 თებ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პირველ სხდომაზე, ტრესტების გადასინჯვის შემდეგ გადაწყვეტილია თავი მოუყარონ სახელმწიფო მრეწველობის სამუშაოს წარმოებების მინიმალურ რიცხვში, რომელიც უფრო მოწყობილია და აქვს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. სახელმწიფო მრეწველობის მოცულობა განსაზღვრული იქნება რეალურ ფინანსიურ საშუალებების მიხედვით. ტრესტების გამგეობათა შემადგენლობა შემცირებული იქნება მინიმუმამდე, ცალკე შემთხვევებში შემოღებული იქნება ერთიანი გამგეობა.

„ცოცხალი ეკლესია“

მოსკოვი, 9 თებ. სრულიად-რუსეთის ცაკის მისამართით ამხ. ლენინის და ამხ. ტროცკის სახელზე მიღებულია ეკატერინოსლავიდან დეპეშა, რომელშიაც ცოცხალი ეკლესიის ეპარქიალური ყრილობა მადლობას უცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც განთავისუფლა ეკლესია სახელმწიფოს მზრუნველობისაგან. ყრილობა სალამს უძღვნის პროლეტარიატის ბელადებს, რომლებიც მისწრაფვიან კაცობრიობის ბედნიერებისაკენ. დეპეშას ხელს აწერს დეკანოზი პისმენნი.

რუსეთის პროფკავშირების დახმარება გერმანიის მუშებისათვის

პროფინტერნის მოღვაწეობა არასოდეს არ ატარებდა პლატონიური პროტესტების ან თანაგრძნობის გამოხატვის ხასიათს ამსტერდამის ინტერნაციონალის რეზოლიუციებივით, არამედ ის ყოველთვის იყო საქმიანი, ისახავდა რა მიზნათ ყველა პროლეტარულ ორგანიზაციების ძალების გაერთიანებას სამოქმედოთ, და თავის თანამოძმე მებრძოლთათვის ყოველმხრივ მხარის დაჭერას.

პროფინტერნის კონკრეტიულ პრაქტიკულ წინადადებებს ამ მიმართულებით ყოველთვის ეღობებოდა ამსტერდამის ლიდერების მტრული განწყობილება, იმ ლიდერების, რომელნიც თავის ფრაქციულ ინტერესებს აყენებდენ პროლეტარიატის საერთო კლასობრივ ინტერესებზე ზევით და ყოველთვის გაურბოდენ საერთაშორისო ხასიათის რევოლიუციონურ გამოსვლებს. საფრანგეთის იმპერიალისტების შეტევამ გერმანიის წინააღმდეგ, რურის ოლქის ოკუპაციამ გამოიწვია პროფინტერნის და კომინტერნის მხრივ მიმართვა ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალისადმი მოწოდებით პუანკარეს მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის წარმოების შესახებ. ამ მიმართვას მოჰყვა ისეთივე შედეგი, როგორც უწინდელ წინადადებებს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ორგანიზაციის შესახებ.

ამსტერდამის მიერ საფრანგეთის იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკის და ომის ახალი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმამ მნიშვნელოვანად შეასუსტა პროლეტარიატის საერთაშორისო გამოსვლის შესაძლებლობა. მაგრამ თუ ამსტერდამის მოღალატურმა მოქმედებამ ხელი შეუშალა ომის წინააღმდეგ მსოფლიო პროლეტარიატის გამოსვლას ერთიანი ფრონტით, მან ვერ შესძლო შეეშალა ხელი რუსეთის მუშებისთვის და მათი პროფესიონალური ცენტრის სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთვის რურის ოლქის მუშებისათვის თავისი თანაგრძნობის გამოხატვაში, იმ მუშების, რომელთაც სტანჯავენ იმიტომ, რომ პუანკარე ვერ შეუთანხმდა კუნოს და სტინესს.

სრ. რუსეთის პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭო არ დაკმაყოფილდა სიტყვიერი თანაგრძნობის გამოცხადებით: მან მისცა მათ მნიშვნელოვანი დახმარება ფულის სახით, ვინაიდან 100 ათასი მანეთი ოქროთი უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან თანხათ ერთი ოლქის მუშების საგაფიცვო ფონდში. ჩვენ არ ვიცით რა სახეს მიიღებს რურის ოლქის ამბები, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლების პროვოკაციულ პოლიტიკას არ შეუძლია არ გამოიყვანოს ადგილობრივი პროლეტარიატი ბრძოლის გზაზე. გაფიცვები ეწყობა ხან ერთ, ხან მეორე ალაგას და საფრანგეთის მთავრობა გაფიცვების შიშით უკვე გზავნის თავის რკინის გზელთა ჯარს რურის ოლქში.

რუსეთის პროფკავშირების დახმარებას, ამ გვარად, ექნება ძლიერ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, და რურის პროლეტარი თავის ბრძოლაში არა ერთხელ მოიგონებს კეთილი სიტყვით თავის რუს თანამოძმეებს. მაგრამ კიდევ უფრო ძვირფასი იქნება ამ დახმარების მორალური მნიშვნელობა. გერმანიის მუშებმა მშვენივრად იციან, რანაირ ძნელ ეკონომიურ პირობებში ცხოვრობენ და იბრძვიან მათი მოძმეები რუსეთში. ასი ათასი მანეთი, რომელიც გაუგზავნა საბჭოთა რუსეთმა რურის მუშების გაფიცვის ფონდს, არის დამშეულის დახმარება დამშეულისათვის. ძნელია პროლეტარიატის ძმური სოლიდარობის უფრო კარგი მაგალითის მონახვა. რუსეთის პროფმოძრაობის ისტორიაში ეს დახმარება ოქროს ასოებით აღიბეჭდება. არა იმიტომ, რომ დახმარება მიცემულია ოქროთი, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის პროლეტარიატმა ამით ყველას დაუმტკიცა თავისი დიდი პოლიტიკური შეგნება.

გერმანიის და მთელი ქვეყნის მუშები საქმეზე დარწმუნდებიან იმაში, რომ რუსეთი პროლეტარიატის სიტყვა და საქმე ერთი და იგივეა. რუსეთის მუშების ძმური სოლიდარობით გამხნევებულნი, ისინი უფრო მხნედ აწარმოებენ საკუთარ ბრძოლას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დეე ბურჟუაზიული ქვეყნის მესვეურებმა პუანკარემ, კერზონმა, კუნომ და სხვ. იკინკლაონ დავლის გაყოფაზე. დეე მათმა ლაქიებმა ყვითელი ინტერნაციონალიდან გზავნონ თავისი პლატონიური პროტესტები და მოწიწებით უცქირონ ერთა ლიგას, მსოფლიო პროლეტარიატი, გაერთიანებული მჭიდრო კავშირით, წავა კომუნისტური ინტერნაციონალის და პროფინტერნის წითელი დროშის ქვეშ ბრძოლის გზაზე და მოიპოვებს სრულს გამარჯვებას.

უცხოეთის ცხოვრება

კაშენის საქმე საფრანგეთის პარლამენტში

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომა, რომელზედაც გადაწყვეტილ იქნა კომუნისტ დეპუტატის მარსელ კაშენისათვის ხელშეუხებლობის წართმევა, იყო ერთი სამარცხვინო სხდომათაგანი, რომელიც საფრანგეთის პარლამენტის ისტორიას ახსოვს. სხდომაზე არ თავმჯდომარეობდა პალატის თავმჯდომარე რაულ პერე, რომელიც არ იყო თანახმა კომუნისტური დეპუტატის დევნისა (კენჭის ყრის დროს მან თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან); თავმჯდომარეობდა დეპუტატი არაგო, რომელმაც ვერას გზით ვერ მოახერხა დაეწყნარებია მემარჯვენე და მემარცხენე დეპუტატებს შორის ატეხილი ხმაურობა. ცენტრის დეპუტატების მთელმა რიგმა, რომელსაც არ ეყო გამბედაობა ხმა მიეცათ მთავრობის წინადადების წინააღმდეგ, მიატოვა სხდომა, ვერ მოითმინა რა ის სამარცხვინო სცენა, რომელსაც წარმოადგენდა საფრანგეთის პარლამენტი. რამდენიმე დეპუტატი ხელით შეეხენ ერთმანეთს ამავე დროს. ცოტაოდენი მოხვდა უდანაშაულო კურიერებს, რომელნიც შეეცადენ გაეშველებიათ მაჩხუბარი ხალხის წარმომადგენლები. საინტერესოა, რომ კამათის დროს მთავრობის ადგილები ცალიერი იყო, განსაკუთრებით ემჩნეოდა შინაგან საქმეთა მინისტრის არ ყოფნა, რომელმაც დაიწყო კამპანია საფრანგეთის კომუნისტების წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრიც ფაქტიური ცნობებით დაკმაყოფილდა და არ ისურვა საქმის პოლიტიკურ მხარეს შეხება. მარსელ კაშენის სიტყვამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე და არა მარტო სოციალისტური, არამედ რადიკალი დეპუტატები მოითხოვდენ მთელი საქმის გადასინჯვას. მაგრამ პალატამ ვერ გაბედა ურჩობა გაეწია პუანკარესა და მისი უახლოეს თანაშემწე ლეონ დოდესათვის, რომელიც განსაკუთრებით ზეიმობდა დღეს ბურბონების სასახლეში, ვინაიდან კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ შეძლება მისცა მას ეწარმოებია მარსელ კაშენის დევნა. „სოციალისტ“ ერლიშის გამოსვლამ, რომელიც მხარს უჭერდა რეაქციას, მქუხარე პროტესტები გამოიწვია მარცხნიდან და მან ვერ შესძლო სიტყვის წარმოთქმა. კაშენისათვის დეპუტატის ხელშეუხებლობის წართმევის წინააღმდეგ მიცემული ხმების და აგრეთვე თავშეკავებულთა სიიდან ნათლად სჩანს, რომ ისეთმა გამოჩენილმა დეპუტატებმა, **როგორც ერრიომ, ბრიანმა, ვივიანმ, ფორჟუმ და სხვებმა ან წინააღმდეგ მისცეს ხმა მთავრობის წინადადებას ან თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან.**

ნახშირის ბარონების შეტევაზე გადასვლა ინგლისში

ფრანგების მიერ რურის ოლქის დაკავებამ სიგნალი მისცა ინგლისის ნახშირის ბარონებს გაელაშქრათ 7 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ ნახშირის წარმოებაში. ინგლისის ნახშირის სინდიკატის კრებაზე დადგენილ იქნა, რომ რადგან ინგლისის ნახშირის გერმანიაში გატანამ შეიძლება გამოიწვიოს ნახშირის კრიზისი ბრიტანეთში და მსოფლიო ბაზარზე, ნახშირის მაღაროებში რვა საათის სამუშაო დღის შემოღება არის აუცილებელი საჭიროება „სამშობლოს გადასარჩენად“. თუ ნახშირის წარმოება არ იქნება გაფართოებული სამუშაო დღის გადიდების გზით, იმ შემთხვევაში, არამც თუ გაიზრდება ნახშირის ფასი, არამედ გერმანიაში გაიტანენ იმ ნახშირს, რომელიც დანიშნულია ინგლისის საჭიროებისათვის, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საყოველთაო კრიზისს. სინდიკატის განცხადება თავდება იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ ტრედ-უნიონები აქამდე არ იჩენდენ მწარმოებლებთან შეთანხმების დიდ სურვილს, მაგრამ ამ შემთხვევაში, გარემოების შეცვლის გამო, მოსალოდნელია, რომ ტრედ-უნიონები დათანხმდებიან მწარმოებლების პირობებზე. მწარმოებლების ეს იმედი განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს. ტრედ-უნიონების წინადადებები ამ საკითხის შესახებ ყველამ კარგად იცის. ტრედ-უნიონებმა დიდი ხანია წამოაყენეს მთელი რიგი ღონისძიებათა თვით მაღაროების ნაციონალიზაციამდე, რაც, ეჭვს გარეშეა, შეამცირებდა მაღაროების შესანახ ხარჯებს და გააიაფებდა ნახშირს და მეორეს მხრივ გააფართოებდა მის წარმოებას. ამ შემთხვევაშიაც ინგლისის მემაღაროების ასოციაციამ დაუყოვნებლივ უარყო მწარმოებლების წინადადება და სხვა ორგანიზაციების მხრივ (როგ. მაგ. საამშენებლო დარგის მუშების) მოვიდა აუარებელი რეზოლიუციები, სადაც სოლიდარობას უცხადებდენ მემაღაროებს და ჰპირდებოდენ დახმარებას სამუშაო დღის გადიდების და ხელფასის შემცირების ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მოძრაობა სამუშაო დღის გაფართოებისათვის ჯამაგირის გაუდიდებლად პოპულიარულია მთავრობის წრეებში და ბონარ ლოუს მთავრობა ცდილობს გაადიდოს სამუშაო დღე სახელმწიფო დაწესებულებებში შვიდიდან რვა საათამდე ძველი ჯამაგირების დატოვებით.

როგორ მდიდრდებიან რეპარაციებზე საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველები.

საფრანგეთის კომუნისტურ პრესაში დიდი ხანია აღნიშნული იყო, რომ გერმანიის რეპარაციები ფაქტიურად ჩრდილოეთ საფრანგეთის დაზიანებულ ოლქების სასარგებლოთ კი არ მიდის, არამედ კაპიტალისტებისა და ამ ოლქებში დახელოვნებულ სხვა და სხვა სპეკულიანტების სასარგებლოთ. მაგალითად, აღნიშნული იყო, რომ კაპიტალისტები, თითქოს დაზარებულნი ომის დროს, არდგენენ გადამეტებულს ან კიდევ სრულიათ ფიქტიურ ანგარიშებს და მათი მოთხოვნილება დაუყოვნებლივ კმაყოფილდებოდა საფრანგეთის მთავრობის მიერ იმ რეპერაციების ხარჯზე, რომლებიც ჩამორთმეული უნდა იქნას გერმანიისაგან. ამავე დროს საფრანგეთის მუშები და გლეხები, რომელთა სახლკარი ომის დროს დაინგრა, იძულებულნი არიან აქამდე ბარაკებში იცხოვრონ. სპეკულიანტებიც ყოველგვარათ გვერდს უვლიდენ გერმანიის კონკრეტულ წინადადებას, რომ ეს სახლები გერმანელ მუშებს აღედგინათ.

საინტერესო ცნობებით ავსებს ამ სურათს „ფორვერტსი“. საპარლამენტო კომისიაში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის მიერ გაკეთებულ მოხსენების თანახმათ, გერმანიის მიერ გადახდილი ქვა-ნახშირი შეფასებული იყო 1921 წლის სექტემბერში 2571 მილიონი ფრანკათ და ამ თანხის ნაცვლათ გერმანიის სარეპარაციო ანგარიშებიდან ჩამოწერილი იყო მხოლოთ 980 მილიონი ფრანკი და წმინდა შემოსავლის ესოდენ დიდი თანხა—1.591 მილიონი ფრანკი—ერგო არა ხაზინას, არამედ მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლების ჯიბეებს რომლებმაც ქვა-ნახშირი საფრანგეთში არსებულ ფასების ნაცვლათ, გერმანიის მდაბალ ვალიუტის ფასათ მიიღეს. საფრანგეთის მეტალურგის სპეციალურ ჟურნალს „უნიკ“-ს სისტემატიურათ მოყავს ცნობა მრეწველობის ამა თუ იმ წარმომადგენლების მათთვის იაფ ნახშირის მიცემის შუამდგომლობათა დაკმაყოფილების შესახებ. ერთის სიტყვით, ამ მაგალითზედაც ნათლათ სჩანს, რომ საფრანგეთის ნამდვილი მთავრობა—განთქმული Comitèe de forges—მძიმე ინდუსტრიის კომიტეტია.

მაგრამ გერმანელი კაპიტალისტებიც არა ნაკლები ღირსების არიან ვიდრე მათი ფრანგი კოლლეგები. „ფორვერტს“ მოყავს ჟურნალ „საფინანსო-პოლიტიკური პრობლემები“-დან ცნობილი სოციოლოგის—დოქტორ რუდოლფ გოლდშეიდის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„მსხვილი კაპიტალი, მძიმე ინდუსტრია და მსხვილი მიწათმფლობელობა, აღსავსეა მხოლოთ ერთი ზრუნვით—როგორმე თავს აიცილონ აღდგენისათვის საჭირო ხარჯები. სწორეთ ეს ელემენტები იყო, რომ ომის წინ ფართო ექსპანსიურ მიზნებს ისახავდენ და ეხლა კი ისინი ყოველგვარ უპატიოსნო საშუალებით საბოტაჟს უწევენ ზავს.

მათი ბრძოლა ვალიუტის დაცემის წინააღმდეგ სრულიათ ფიქტიურია, სავალიუტო ფასის დაცემა მათთვის სასურველი საბაბია, ფასების ხელოვნურათ აწევის საშუალებით გამდიდრებისათვის“.

„ფორვერტსი“, რომელიც ყოველ ჟამს ამზადებს ნიადაგს სტინნესთან კოალიციისათვის, იძულებულია თავის მომავალ მოკავშირეებს ესროლოს ბრალდება, რომ მთელი მათი ცდა მიმართულია ეხლა სახელმწიფო რკინის გზების ხელში ჩაგდებისაკენ. სტინნესის გეგმით, გერმანიის მთავრობამ კერძო კაპიტალს უნდა მისცეს სახელმწიფო რკინის გზები, როგორც გირაო 15 მილიარდი ოქროს მარკიან სესხისათვის. „ფორვერტსი“ ათავსებს წერილს გაფრთხილებით ამ სესხის შესახებ: „გაუფრთხილდით დანაელთა საჩუქარს!“

შეფების ბიურო

წინადადებას აძლევს შეფთა დ[illegible]
ნუ მოსთხოვენ შეფს დღესასწაულის [illegible]
ლურ თანხას (უკვე გადადებულ ხარჯთ-აღრიცხვის
რადგან საერთო საგარნიზონო მასშტაბით დღესას
მოსაწყობათ შეფთა ბიუროს ცენტრალურ კომისიის
თანხა უკვე გადადებულია.

შეფების ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი არუს

შეფების ბიურო

წინადადებას აძლევს შეფთა რწმუნებულთ იზრუნონ
ხის ბიუროს კასაში დაჩქარებით შეტანისათვის, რო
გადადებულია წითელი არმიის 5 წლის თავის დღე
ლის ჩასატარებლად და აგრეთვე საერთო თანხიდ
პროცენტი გადარიცხონ ქვეშეფების ნაწილებისათვის
1 იანვრიდან.

შეფთა ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი—არუს

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

დღენაკლული ბავშვი

(ნეკროლოგი ანარქო-სინდიკალისტურ ინტერნაციონალზ

არსებობს თქმულება ერთი საბრალო მშობელზე, რომელიც თვალცრემლიანი მოუთხრობდა ყველას თავისი შვილის არაჩვეულებრივ ტალანტზე. როდესაც მას შეეკითხენ, რაღატომ სტირისო, მან ამოოხვრით უპასუხა: „მკვდარი დაიბადაო“.

ეს თქმულება უნებურად გვაგონდება, როდესაც ვკითხულობთ ცნობებს ბერლინში ახალ ინტერნაციონალის შედგენის შესახებ. ამ ინტერნაციონალს სახელად ეწოდება: „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა“. 25 დეკემბერს დაბადებული ბავშვი, მისი მშობლების—ანარქისტების აზრით უნდა ყოფილიყო არაჩვეულებრივ ტალანტების მქონე. მას არ უნდა ქონებოდა სხვა ინტერნაციონალების ნაკლი: ამსტერდამის წვრილფეხა რეფორმიზმი და პროფინტერნის „სისხლის მსმელი“ რევოლიუციონერობა. იგი უნდა ყოფილიყო აღზრდილი ტოლსტოის მოძღვრებაზე („непротивление злу“), შეეთვისებია დიდი თეორეტიკოსი როკკერტის ანარქისტული თეორიები და თავი შეეკავებია ცხოვრების ყოველდღიურ პროზისაგან მისი საერთო გაფიცვებით, დიქტატურებით და ბოროტების სხვა გამოხატულებებით, რასაც „ცენტრალიზმი“ ეწოდება. ფართო ფედერალიზმს, რომელიც უარყოფს ცენტრალურ საგაფიცვო კასების დაარსებას, ადამიანთა თავისუფალი ურთიერთობის მოძღვრებას და გაზ. „დერ სინდიკალისტის“ კითხვას უნდა განეღვთაებია მასში მაღალი სული და შეეყვანა იგი ანარქისტულ სამოთხეში ისე, რომ არ გატარებულიყო კლასთა ბრძოლის დარჯაგში.

ეს გენიალური ბავშვი უფრო ადრე ჩავარდა სამოთხეში, ვიდრე ამას მისი მშობლები ფიქრობენ. იგი თავიდანვე მკვდარი დაიბადა.

როგორ მოხდა ეს სამწუხარო უდროოდ გარდაცვალება სანატრელ ანარქო-სინდიკალისტურ ინტერნაციონალისა? ყველაფერში დამნაშავეა პროფინტერნის ბოროტი ხელი. ყველა იმ ელემენტებმა, რომელთაც უნდა შეედგინათ ახალი ინტერნაციონალის ძალა და შთაებერათ მისთვის ცოცხალი სული, განიცადეს მოსკოვის ბარბაროსთა გამანადგურებელი გავლენა. საფრანგეთის შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ სამარცხვინოდ უღალატა სახელოვან ანარქოსინდიკალისტურ დროშას და შეუერთდა პროფინტერნს.

ამასთანავე, ამ ღალატის მთავარი დამნაშავენი მონმუსო და სემარი, უკვე დასჯილნი არიან და ჩაცვივდენ პუანკარეს კლანჭებში.

იგივე ბედი ელის ჰოლანდიის სინდიკალისტებს და ამერიკის „მსოფ-
ლიოს ინდუსტრიალურ მ
პირველნი შეაცდინა ბორო
—ლოზოვსკიმ და გადაიყ
პროფინტერნში, მეორენი ჯ
არ წასულან არც ბერლ
მოსკოვში, მაგრამ ემჩნევათ
სენის ნიშნები.

მაგრამ მოღალატეების წი
მიმართულ უბედურებას არ
გააცოცხლოს მკვდარი ბავ
უთავოდ დარჩა. ვინაიდან
„სინდიკალისტურ კავშირის
ნიის ლოკალისტებისაგან (
რომელიც აერთიანებს გერმ
მილიონ დარაზმულ მ
ათას კაცს) არაფრის შექმნა
ლება. აღნიშნულ კავშირს
დენ მექსიკის კონფედერაცი
მნიშვნელოვანი ორგანიზაცი
რეთვე 30 ათასი კაცი. ს
რის, ცოცხალი სულების მ
წერილი არიან მკვდარი
„ჩეხო-სლოვაკიის სინდიკა
კავშირი“, რომელშიაც თვით
ნიზატორებს ეგულებათ 1.00
და პროფკავშირთა „რუსეთის
კალისტური უმცირესობა“ (
რესობის წევრთა რიცხვი გ
არის აღნიშნული).

ჩვენ არ გვითქვამს, თუ რ
ბებში მოხდა ახალი ინტერ
ლის უნაყოფო მშობიერებ
იმაშია, რომ „საერთაშორი
რესი“, რომელზედაც ამ ინტ
ნალს ეყრებოდა საძირკველი
ლოებით იყო მოცული და
„დერ სინდიკალისტიც“ კი
სებდა რაიმე ცნობებს მის
ვიცით მხოლოდ, რომ კონგ
ბატების მთავარ საგანს შ
საკითხი, როგორ მოიქცენ
რად ლოზოვსკი მოისურვებს
ლას: აზრები სულ სხვა და
რი იყო: ერთნი ამბობდენ
ვათო“, სხვები ილაშქრებდნ
რობაზე ლოზოვსკის დასწრ
ნააღმდეგ. მიღებული იქნა
ბრძნული რეზოლიუცია: შე
მაგრამ მისი დასწრება არა
ლად იქნას აღიარებული. მა
ზოვსკიმ, რომლის თავი აღ
რობს ყოველგვარ დიქტატ
ფიცვებზე (ზოგიერთების (
ამ დროს იხილავდა საკითხ
განზრახულ ოკუპაციის შ
ინება გამოცხადება და
მონაწილენი დავიდარაბისაგ

ძველი რომაელების ანდაზ
ვით, მიცვალებულის შესახე
და ითქვას არაფერი, გარდა
ჩვენც დავკმაყოფილდებით ამ
ბით სავსე ნეკროლოგით დ
ვით: „საუკუნო ხსენება“ დ
დიად ბავშვს, მსუბუქი იყო
ვის მიწა...

კომუნისტების მუშაობა ჩეხო-სლოვაკიის უმუშევართა შო

უკანასკნელ ხანს ჩეხო-სლოვაკიის უმუშევართა მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს. ბევრ ქალაქში სტიქიურათ იქმნება უმუშევართა საბჭოები და იმართება მანიფესტაციები. ოსტროვში, მაგალითად, გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათი-ათასმა კაცმა. ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო პოლიციის გარდა, სამხედრო ნაწილებიც გამოეწვია დემონსტრანტების წინააღმდეგ. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ უკანასკნელნი აწ უკვე აღარ არიან ჩეხიის ბურჟუაზიის სანდო დამცველნი. ჯარის-კაცებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ ისინი არ გამოვლიან უმუშევართა წინააღმდეგ.

ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტურ ორგანო ბოჰემიაში—„ინტერნაციონალე“ იუწყება აუსიგში მომხდარ უმუშევართა დიდი დემონსტრაციის შესახებ. უმუშევრებმა შემდეგი მოთხოვნილებები წამოაყენეს: უმუშევართა სუბსიდიების ასი პროც.-ით გადიდება მსხვილ კაპიტალის ხარჯზე მუშებისათვის სახლების აგება, საქარხნო კომიტეტების უფლებების გაფართოება და უკანასკნელებისათვის მუშათა დათხოვნის შემთხვევებში წარ-
მოების იძულებითი კონტრო
ლების მინიჭება.

ამ ჟამად უმუშევართა მოძრ
სახვის სტადიაში იმყოფებო
მიუხედავათ იმისა, რომ სამ
კრიზისმა ძალიან ფართე ხას
იღო—ქუჩაზე გამოყრილი
ათასი მუშა. ეს ციფრი ძა
დია, თუ მხედველობაში
ჩეხო-სლოვაკიის 13—14 მ
მოსახლეობას. ეს იმით აიხს
უმუშევრებს აქამდე კრიზისი
დაციის და ამასთანავე პრო
რების დასამარების იმედი
მაგრამ ორთავე შემთხვევაშ
იმედი გაუცრუვდათ. ამ
დეგ მათ ყურადღება მიაპყრ
ნისტების ლოზუნგს ენერგი
ლის აუცილებლობის შესახე

ჩეხის სოციალ-დემოკრატ
ესხმიან უმუშევართა საბჭო
გან საბჭოებში გაბატონებულ
კომუნისტები. ამის გამო „
ციონალე“ სწერს: ნუ მო
სოციალ-დემოკრატები ჩვენ
დებას. ყოველ შემთხვევაში
ლიადაც არ ვფარავთ, რომ
ტურ პარტიის ვალათ ჩვენ
უმუშევართ მოძრაობისათვი
გვარი დახმარების გაწევა“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

(ერევანი 7 თებერვ.)

ბამბის მოშენება. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მისცეს მიწად-მოქმედების სახალხო კამისარიატს სესხის სახით 80,000 ფუთი მარცვალი ბამბის მოშენების საქმის გასაუმჯობესებლად; წინადადება მიე-
ცეს სომხეთის ბამბის მოშენ
მიტეტს მოემზადოს სესხის
სათვის,—ხოლო მიწად-მო
სახალხო კომისარიატს—
მოაწყოს ბამბის კამპანია; წ
მიეცეს მიწად-მოქმედების
კომისარიატს გამოარკვიოს
ბის რაოდენობა, რომლებიც შ
საძლებელი იქნება ბამბის მ

მემამულეების მიწები გლეხებს

(წერილი თელავიდან).

მიმდინარე წლის 26 იანვარს თელავში დაიხურა მიწად-მოქმედების და მიწად-მოწყობის დარგის მუშაკთა სამაზრო კონფერენცია.

ის მოწვეული იყო მიწად-მოქმედების სამაზრო განყოფილების ინიციატივით და მიზნად ჰქონდა დასახული: წარსული მუშაობის გაშუქება მისი ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მიწად-მოქმედების, და მიწად-მოქმედების და სატყეო მეურნეობის სფეროში მუშაობის გეგმის შემუშავება.

ყრილობას დაესწრო წევრები და სტუმრები 200 კაცამდე. დასწრება სავალდებულო იყო ყველა აგრონომის, ინსტრუქტორის, მიწის მზომელის და მიწის სასოფლო კომიტეტების თითო წარმომადგენლისთვის. სულ მაზრაში არის 37 მიწის სასოფლო კომიტეტი და ამგვარად კონფერენციას უნდა დასწრებოდა ამდენივე დელეგატი.

მაგრამ საინტერესო საკითხისა და პროგრამის გამო ჩამოვიდა 69 კაცი და მათ შორის სოფლის აღმასკომების ყველა ის თავმჯდომარეები, რომელნიც ერთ და იმავე დროს მიწის სასოფლო კომიტეტების თავმჯდომარენიც არიან.

მიწის საკითხის შესახებ კამათის დროს ყრილობას ეწვია თბილისიდან დაბრუნებული ცენტრ. აღმასკომის წევრი ამხ. ქურციკაშვილი, რომელიც დაესწრო სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესიას. მისმა მოხსენებამ მიწის რეფორმების გამო სესიის დადგენილების შესახებ გამოიწვია მხურვალე ტაშის ცემა და ყრილობის ფიცი, რომ მაზრაში 15 მარტამდე დამთავრებული იქნება რეფორმა. რეზოლიუცია ტელეგრაფის საშუალებით გადაეცა ცენ. აღმასკომს, კომპარტიის ცეკას და მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს.

ყრილობის დახურვის წინ აღმასკომმა და მიწად-მოქმედების განყოფილებამ მოუწოდეს მიწის კომიტეტის წევრებს იქონიონ მჭიდრო კავშირი მიწის სამაზრო განყოფილებასთან, რათა საშუალება ექნეთ მიიღონ ინსტრუქციები და საჭირო განმარტებები და იმუშაონ შეუჩერებლივ, იხელმძღვანელონ რა დეკრეტით და რევოლიუციონური სინდისით.

დასასრულ გამოვიდა სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. სტურუა და განუმარტა რა ყრილობას ადგილობრივ მოქმედების პროგრამა სთქვა.

„ამხანაგებო, მე იმედი მაქვს რომ ჩვენ გავიგეთ ერთმანეთი, წადით და იმოქმედეთ, გახსოვდეთ დაპირება: „15 მარტისათვის“, იმოქმედეთ ენერგიულად და მტკიცედ“. მიწის კომიტეტის წევრებმა შეასრულეს სიტყვა.

უკვე 28 იანვარს ყრილობიდან სამი დღის შემდეგ მიწის სამაზრო განყოფილებაში შემოვიდა ცნობა მახლობელ ყურდგელაურის თემიდან:

„თემის ფარგლებში ჩვენ დავიჭირეთ მარნები მთელი ინვენტარით და ჩამოვართვით ზვრები შემდეგ ვაჭრებს და მემამულეებს: აბაშიძეს, გარეჯილაშვილს, დანდუროვს, კოქტიევს, იარალოვს და სხვას, ვენახი სივრცით 100 დესიატინაზე მეტი. ყველა ჩამორთმეულ ზვრებში არის მარნები და სარდაფები. შემდეგ შემოვიდა ანალოგიური ცნობები სხვა სოფლებიდან: კონდოლი, წინანდალი, ყვარელი და სხვ.“.

მიწის კომიტეტები მოქმედებენ. მიწის სამაზრო განყოფილება სდგას საქმის სათავეში და ხელმძღვანელობას უწევს უმნიშვნელოვანეს მუშაობას.

ღარიბი გლეხი.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-2-რე ყრილობა

(მე-4 სხდომა).

საღამოს, 7 თებერვალს გაიხსნა ყრილობის მე-4 სხდომა. ყრილობა შეუდგა განათლების სახალხო კომისარის ამხ. კანდელაკის მოხსენების მოსმენას კომისარიატის მუშაობის შესახებ. ამ დღის საღამოს სხდომა სავსებით მოხმარდა ამ საკითხს. (განათლების კომისარიის მოხსენება მოთავსებული იქნება შემდეგში).

ყრილობის მე-5 სხდომა.

სხდომა შესდგა დილით, 8 თებერვალს დაიწყო კამათით განათლების კომისარიატის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს მოქ. ჩარექოვმა, ვოლკოვმა, ახვლედიანმა და სხვებმა. ჩარექოვი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ჩვეულებრივ ტეხნიკუმების გახსნამ მიიღო ხშირი ხასიათი, მაშინ როდესაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურ ტეხნიკუმების შექმნას. თუმცა პრინციპი და დანიშნულება შრომის სკოლებისა ერთი და იგივეა, მაგრამ ყველგან არა აქვთ ერთი და იგივე ხასიათი.

ასეთ ტეხნიკუმების შექმნით, რასაკვირველია, არ ვფიქრობთ სპეცების შექმნას, არამედ ასეთ ტეხნიკუმებს აქვთ აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ყოველ მაზრაში სკოლა უნდა ეგუებოდეს ადგილობრივ პირობებს. უნდა მოხდეს მომზადება ძველ და ახალ მასწავლებლების შრომის სკოლებისათვის. ახალ მასწავლებლობის მომზადება და მათი სათანადოთ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ტეხნიკუმებში მათ მიეცემათ სტიპენდია და სხვა შეღავათები, ისე როგორც საპედაგოგო ინსტიტუტში. ძველ მასწავლებლების ხელახალი მომზადება უნდა მოხდეს სათანადო კურსების მოწყობით ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტებების ხარჯზე.

მოქ. ვოლკოვი ეხება საკითხის პედაგოგიურ მხარეს და ლაპარაკობს, რომ საშუალო სასწავლებლები დარჩა ისეთივე ძველი როგორიც იყვნენ წინედ. მუშაობას აქვს ისევ კაბინეტური ხასიათი. ახალი საგნები, როგორიც არის საბჭოთა აღმშენებლობა და პოლიტიკური ეკონომია მოსწავლეთათვის წარმოადგენ უცხო საგნებს. მუშაობის კაბინეტური ხასიათი იქიდან სჩანს, რომ მასწავლებლობა არ არის გაცნობილი ფართოდ, თუ რა კეთდება სწავლა-განათლების საქმეში. მასწავლებელთა მომზადება უდა ხდებოდეს უმაღლეს სწავლის მიღებით, რომ მასწავლებელმა იცოდეს ყველა საფეხურები და მათთან გაცნობილმა განსაკუთრებული ყურადღებით აწარმოოს მუშაობა იმ საფეხურზე, სადაც უხდება მუშაობა. აუცილებლად მოწვეულ უნდა იქნეს აგრეთვე პედაგოგების ყრილობა. შემდეგ სიტყვა ეძლევა პრ. ახვლედიანს. ის უპასუხებს მომხსენებელს და ამბობს, რომ უნივერსიტეტი კონსერვატიულია იმდენად, რამდენადაც ამას მეცნიერება მოითხვს. ის მრავალი ახალი გამოკვლევები ამ მოკლე დროს განმავლობაში, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტს მოეპოება, მოწმობს იმას, რომ უნივერსიტეტი არ არის კონსერვატიული. ჩვენ უნივერსიტეტში ვაწარმოებთ წმინდა მეცნიერულ მუშაობას და ცხოვრებასთან გვაქვს კავშირი იმდენათ, რამდენათაც მუშაობას ვაწარმოებთ პედაგოგიურ ინსტიტუტში. ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ წიგნთ-საცავების მოწყობას შკოლებში და რომ უცხოეთის კლასიკები აუცილებლად ითარგმნებოდეს ქართულ ენაზე. ამას უნდა მიექცეს განათლების კომისარიატის ყურადღება.

შემდეგი სიტყვა ეძლევა ამხ. მარიამ ორახელაშვილს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა.

ამხანაგი უპასუხებს ახვლედიანს და და ამბობს, რომ მას (ახვლედიანს) სხვანაირათ ესმის კონსერვატისმი. იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს მუშაობას სკოლის გარეშე სწავლების დარგში საბავშო ბაღების, მოედნების და სხვათა საშუალებებით, უნივერსიტეტის მოღვაწეები არ აქცევენ ასეთებს არავითარ ყურადღებას. ისინი გატაცებულნი არიან მხოლოდ ძველი მეცნიერებით და სრულიად მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას.

არ აქცევენ ყურადღებას ისეთ დაწესებულებებს და ისეთ დარგებს, სადაც სწარმოებს ბავშვთა აღზრდის საქმე ცხოვრების პირობებთან შეფარდებით. მის მაგივრად, რომ მათ დაეხმარონ ამ დარგში მომუშავეთ, ისინი საჭიროდაც არ სთვლიან შეიხედონ ასეთ დაწესებულებებში. მეცნიერი მოღვაწეები აწარმოებენ მხოლოდ სასკოლო მუშაობას. იმ რთულ მომენტში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, უნდა ვცდილობდეთ სკოლის გარეშე ბავშვთა აღზრდის საქმეზე. ამ საკითხს აქ არ შეხებიან, ვინაიდან ამით ნაკლებათ არიან დაინტერესებულნი. შეუძლებელია შრომის სკოლის შექმნა თუ სკოლის გარე აღზრდის საქმე სათანადო სიმაღლეზე არ იქნა დაყენებული, რომლის შესახებ აქ არაფერი არ თქმულა. ჩვენ ამოცანას წარმოადგენს შევქმნათ შრომის სკოლა წარმოების საფუძვლებზე, მხოლოდ არა იმ საშუალებებით, რომელზედაც აქ ლაპარაკობდენ ზოგიერთები. ჩვენ თუ შევქმენით პედაგოგიური ინსტიტუტი და მივეცით მას შეღავათები, ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან ბევრი მაზრები პირდაპირ შიმშილობას განიცდიან მასწავლებლების ნაკლებობის მხრივ. და მათ საჩქაროდ გამოსაშვებად და მაზრების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იქნა შექმნილი პედაგოგიური ინსტიტუტი. სხვა სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნა კი შეუძლებელია. ძველ მასწავლებლების ხელახლად მომზადების დარგში, მართალია, თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული. მათ მოსამზადებლად ყველაზე უფრო იაფი და მიზანშეწონილი საშუალებებია ხანგრძლივი მასსიურ კონფერენციების და კურსების მოწყობა. საჭიროა ყოველდღიურად წამოყენება საკითხების საცდელ და მაჩვენებელ სკოლაში. საშუალო სკოლის მასწავლებლები სდგანან ერთ ადგილზე, არ იჩენენ არავითარ ინიციატივას და მათი ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას. ამ მასწავლებლებს არა სურთ შეიტანონ სასწავლებლებში ცხოვრების ნამდვილი შეფასება, რის შედეგია ის გარემოება, რომ მოსწავლეებს წარმოდგენაც არა აქვთ არსებულ ხელის უფლებაზე, როგორც ამას აღნიშნავენ ზოგიერთები. ეხება რა მასწავლებლების მატერიალურ მდგომარეობას ამხ. მარიამ ორახელაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლებამ გადადგა ამ მხრივ ნაბიჯები და ის შესრულებული იქნება. საბჭოთა ხელისუფლებამ იცის თავის დროზე საკითხების წამოყენება და მათი ცხოვრებაში გატარებაც. დარწმუნებული ვართ, რომ მასწავლებლობა მომავალ მუშაობაში დაგვეხმარება.

ამხ. კანდელაკის სიტყვა.

უკანასკნელ სიტყვაში ამხ. კანდელაკი აღნიშნავს იმ მეტად ცუდ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ზოგიერთი მაზრები მასწავლებლების ნაკლებობის გამო. ხშირ მოვლენას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბევრი მასწავლებელთაგანი ეწერება შრომის ბირჟაში მასწავლებლობის თანამდებობებისათვის, მაგრამ შემდეგ ეწყობიან სხვა დაწესებულებებში: უეჭველად უნდა მოხდეს კავშირის საშუალებით მასწავლებლების გადაგზავნა მაზრებში და მათი რაციონალური გადაჯგუფება. დამკრავ ამოცანას წარმოადგენს ძველ მასწავლებლების ხელახლად მომზადება, რომლისთვისაც საჭიროა მოსამზადებელ კურსების მოწყობა. ამ მიზნისათვის გამომცემლობითი განყოფილებას უნდა დაევალოს სახელმძღვანელოების გამოცემა.

წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა სწარმოებს პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციასთან ერთად. ეხება რა უნივერსიტეტის კონსერვატიზმს ის ამბობს, რომ უნივერსიტეტის მოღვაწენი ვერ შეურიგდენ და ვერ შეეგუენ რევოლიუციონურ ცვლილებებს და ამაში გამოიხატება მათი კონსერვატიზმი, რაც შეეხება მათ მოღვაწეობას წმინდა მეცნიერულ დარგში ამას არავინ არ უარყოფს, პირიქით ვამბობთ, რომ მათ შესძლენ იმდენის გაკეთება და შექმნა, რამდენიც არ შეუსრულებია არც ერთ უმაღლეს სკოლის მოღვაწეებს ასეთ მოკლე დროს განმავლობაში. ამხ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ მუშაობა მართლაც, რამოდენიმედ იყო კაბინეტური. გამოცდილებამ გვიჩვენა რომ საჭიროა პრაქტიკულად რაც შეიძლება დაკავშირება განათლების მუშაკებთან.

შემდეგი მოხსენება კავშირის უახლოეს ამოცანებზე გააკეთა ამხ. შავერდოვამ. მან ილაპარაკა ამოცანებზე განათლების მუშაკთა კავშირის მუშაობის ყველა დარგებში.

ყრილობამ ამხ. შავერდოვას თეზისები მიიღო საფუძვლად მომავალ მუშაობისათვის.

მე-6 სხდომა.

სხდომა შესდგა საღამოს 8 თებერვალს. სოციალიურ აღზრდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მარიამ ორახელაშვილი. ოჯახის კრიზისი და მისი შედეგები მეტად ცუდ გავლენას ახდენს ბავშვებზე, ბავშთა მოსახლეობის სოციალური აღზრდა, წარმოადგენს კოლექტიურ აღზრდას. სახელმწიფოს არ ჰქონდა უშუალო დამოკიდებულება ბავშვებთან. ეს დამოკიდებულება ხორციელდებოდა მხოლოდ სკოლისა და ოჯახის საშუალებით. სახელმწიფოს მუშაობა ამ მიმართულებით სწარმოებდა მხოლოდ სასწავლებლებში. სახელმწიფომ უშუალო დამოკიდებულება უნდა იქონიოს ბავშვებთან. საბჭოთა ხელისუფლება სწორედ ასე უდგება საკითხს. ასეთ სისტემით უნდა ხდებოდეს მუშაობა ყველა ფინებში. უნდა იქმნას წარმოებული მუშაობა ისე, რომ შეიქმნას მთლიანი ჰარმონიული პიროვნება, რომელიც, შეიძლება გახდეს კოლექტივის წევრად.

აუცილებელი საჭიროა სკოლის გარეშე მუშაობის წარმოება. ბავშვებს თავის ენაზე არა აქვთ წიგნები და ასეთ მდგომარეობის დროს ფართოდ უნდა სწარმოებდეს და ჩვენი ცდა მიმართული უნდა იყოს ბავშვებისათვის წიგნების კითხვის მოწყობა. უნდა შევქმნათ სასწავლებლებთან ბაღები, რათა ახალგაზრდობა შევაჩვიოთ კოლექტიურ შრომას, რომ ისინი ვარგისნი გახდნენ შრომის სკოლებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს უპატრონო და დეფექტიურ ბავშვებს, არ უნდა შევაჩვიოთ ისინი მოწყალებას, არამედ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ისინი არ გახდენ პარაზიტები. შემდეგ ამხ. ილაპარაკა შრომის სკოლების მოწყობის შესაძლებლობა უსახელოსნოდ, საჭიროა მხოლოდ ხელახლად მომზადებული მასწავლებლები, კონფერენციების, კურსების და სხვათა საშუალებით. ამისათვის საჭირო იყო რამოდენიმე სასწავლებელის გამოყოფა მის უკეთეს პირობებში ჩაყენება ცდების საწარმოებლად. ეს სკოლები საშვალებას მოგვცემს ვაწარმოვოთ დაკვირვებით და მათი საშუალებით შევიძინოთ გამოცდილება.

შემდეგ ამხანაგებმა ილაპარაკეს საცდელ მაჩვენებელ სკოლების აღზრდის და სწავლების მარქსისტულ თვალსაზრისზე.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

აფერისტ სმოლსკის პროცესი

ამირაგოვის მოწმის შესაკითხავად სიტყვას ღებულობს სმოლსკის დამცველი მესხიშვილი.

მესხიშვილი. გჯეროდათ თუ არა თქვენ პირადათ, რომ სმოლსკი იყო პასუხისმგებელი მოსამსახურე და ღებულობდით თუ არა მისგან მოთხოვნილებებს?

ამირაგოვი. როგორც ყველას, ისე მეც მრწამდა, რომ სმოლსკი იყო პასუხისმგებელი მოსამსახურე, რაც შეეხება მოთხოვნილებებს, ამის შესახებ არაფერის თქმა არ შემიძლია, რადგანაც არ მახსოვს.

მესხიშვილი. მოიგონეთ, შეიძლება იყო.

ამირაგოვი. არ მახსოვს.

მესხიშვილი. მეტი შეკითხვა მე არა მაქვს.

პანკრატოვი. იყო თუ არა სმოლსკის მიერ ტელეფონით თქვენდამი მომართვა სურსათის მიცემის შესახებ?

ამირაგოვი. იყო. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსთხოვდით გამოეგზავნა თავისი ოფიციალური წარმომადგენლები; მხოლოდ, სმოლსკიდან არ მახსოვს.

თავმჯდომარე. თქვენ თავისუფალი ხართ. დაკითხული მოწმე ცინცაძე (შინაგან საქმეთა კომისარიატის მდივნის მოადგილე) უხსნის სასამართლოს, თუ როგორ იყო გაცემული ნებართვა შტამპების და ბეჭდების შესაძენად. მისი განმარტებით ნებართვის მიცემის წესი ხშირად ირღვეოდა, მაგრამ არ ახსოვს მას ამ შემთხვევაში იყო თუ არა დარღვეული წესი. მაშინ სმოლსკი ღებულობს სიტყვასა და აცხადებს, რომ ნებართვა მას თითონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა მისცა.

სმოლსკი. მე მივედი შინაგან საქმეთა კომისარიატში, განცხადება დავსწერე კომისრის მაგიდაზე, იქვე მოვაწერე ხელი და დავასვი ბეჭედი, ამის შემდეგ მე მომეცა ნებართვა თანახმად კომისარის რეზოლიუციისა.

დაკითხვაზე, გამოძახილი ბრალდებულ სმოლსკის ცოლი აცხადებს, რომ მან თავისი ქმარის ბოროტ-მოქმედებებზე არაფერი არ იცის და ამისათვის ის უარობს ჩვენების მიცემას. სმოლსკის ცოლი თავისუფლდება დაკითხვისაგან.

მოწმე პოგრებეცკის და როიტუნის (შტამპების სახელოსნოების პატრონებია) ჩვენებიდან ირკვევა, რომ თითონ სმოლსკი მისულა მასთან შტამპების და ბეჭდების დასაკვეთათ. პოგრებეცკის და როიტუნს მან დაუკვეთა, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებართვისა;— პირველს შეუკვეთა „შეერთებული ბრიგადის უფრის“-ს ბეჭედი.

უმაღლესი ტრიბუნალის თავმჯდომარე ეკითხება მოწამე როიტუნის ცოლს: სთხოვა თუ არა მან სმოლსკის მოაწყოს მისი ნაცნობი ქალი ფრიდმანის შეპყრობილ ძმების განთავისუფლება. როიტუნის ცოლი უპასუხებს, რომ ამის შესახებ სთხოვა არა მან, არამედ თითონ ფრიდმანმა. კითხვაზე, თუ რამდენი მიიღო ამისათვის სმოლსკიმ, როიტუნმა უპასუხა—მიიღო 6.000.000 მანეთი. შეეკითხენ: გაანთავისუფლა თუ არა?.. უპასუხებს—არა.

შემდეგ, დარაჯი ვართანოვის, რომელიც მსახურობდა სმოლსკთან საწყობში და შოფერი ვუკოლოვის ჩვენებით ირკვევა, რომ პროდუქტები საწყობში ოლღას ქუჩაზე მიჰქონდა სმოლსკის და აქედან ის აგზავნიდა სადგურზე ვუკოლოვის დახმარებით. ამ უკანასკნელს ერთხელ სმოლსკი წაუყვანია ვლადიკავკაზში საქართველოს სამხედრო გზით. შემდეგი მოწამე გზის ექსპლოატაციის უფროსის თანაშემწე კამსარაკანი ამბობს იმ შემთხვევაზე, როცა, ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამართველოს განკარგულების თანახმად, მოსკოვის სასწრაფო მატარებელს № 5 მოაბეს ვაგონი „ტეპლუშკა“, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის „შეერთებული ბრიგადის“ თანამშრომლებისათვის და ქონების გადატანისათვის.

ფატალი ზადიკოვის და ზამან ზამანოვის დაკითხვა გადაიდო მეორე დღისათვის, რადგანაც არ იყო თარჯიმანი. მოწამემ კუდლაევის და ჩიმიშკიანის ჩვენება არსებითს არაფერს იძლევა პროცესისათვის. სხდომა წყდება მეორე დღის საღამოს 5 საათამდე.

(უმაღლესი ტრიბუნალის სასამართლოს სხდომის მეოთხე დღე).

სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე, გრძელდება მოწმეების დაკითხვა. გულბისის, ერქომაიშვილის და ჯაფარიძის განცხადებას, მათ ურიგო დაკითხვის შესახებ, ტრიბუნალი აკმაყოფილებს.

გულბის რობერტი.

თავმჯდომარე. გვიამბეთ, რაც იცით სმოლსკის საქმის შესახებ. პირველად დაეკითხა რუსანოვი, ამის შემდეგ დაკითხვა გადმომეცა მე. სმოლსკი პირველად თავის თავს ოფიცერს არ უწოდებდა. როდესაც იმას განუცხადეს, რომ მთელი საქმე გამოაშკარავებულია, მაშინ, თუმცა-ღა მეორე და მესამე დაკითხვაზე თავს იჭერდა, მაგრამ შემდეგ გამოტყდა მის მიერ ჩადენილ ყალბ დოკუმენტების ხმარებაში.

პარტიული ცხოვრება

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ქალთა განყოფილება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან (დედობის და ბავშვობის დაცვის განყოფილება)

ერთად 10 თებერვლის საღამ. 6 საათზე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შენობაში (საპიორის ქ. ყოფილი კადეტთა კორპუსი; კომისარის კაბინეტი) იწვევს თათბირს საერთაშორისო მუშა ქალთა დღის 8 მარტის დღესასწაულის მოსაწყობათ.

ხსენებულ თათბირზე მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი: 1. ცენტ. აღმას. კომ. 2. პროფკავ. საბჭოსი. 3. ჯანმრთ. სახ. კომ. 4. სახ. სასურ. კომ. 5. შრომის სახ. კომ. 6. განათლ. სახ. კომ. 7. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომ. 8. ქალაქის აღმას. კომ. 9. სანიტარ. განათლების. 10. შრომის ბირჟის. 11. ქალაქ. ჯან. განყ. 12. ახალგ. კომ. კავშირის. 13. კავ. განს. არმია (O. K. A.). 14. ხელოვნების მუშაკთა. 15. სახ. მეურნ. საბჭოსი. 16. მუშ. მთლიანი კოოპერატივის. 17. ტრესტების წარმომადგენლების. 18. პრესის. 19. ამერიკის დახმ. კომიტეტის. 20. სიმშილის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტის. 21. სააგიტაციო-საპროპაგანდო. 22. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის. პერსონალურად ამხ. ამხ. ელბაქიანი, ჯავაირა, კვანტალიანი, დუმბაძე ქეთო, ალტშულერი, ალექსანდროვა, მარიამ ორახელაშვილი.

ცენტ. კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე—**ადამიძე.**
ტფ. კომიტეტის ქალთა განყ. გამგე—**გორდაძე.**

მახეზე

იანვარში კომინტერნის იდეების და დადგენილებათა პოპულიარიზაციის მიზნით ამხ. შამშე ლეჟავამ შემოიარა დასავლეთ საქართველო, სადაც 20-მდე მიტინგი მოაწყო: ქუთაისში, ოზურგეთში, ხონში, ვანში, ტყიბულში, ჭიათურაში, ხაშურში, გორში, ბათუმში და სხვაგან. ბათუმში ამხ. ლეჟავამ ჩაატარა 3 მიტინგი წითელ არმიელებისა და მეზღვაურთა თანადასწრებით. ამხ შამშე ლეჟავას მოხსენებები იწვევდენ დიდ ინტერესს და იზიდავდენ ფართო მშრომელ მასებს. განსაკუთრებით ქ. სენაკში მოეწყო დიდი მიტინგი, რომელზედაც დამსწრეთა რიცხვი 4 ათას კაცამდე ადიოდა. მომხსენებელი მარტივი ხალხური ენით ჰყვებოდა და ხსნიდა კომინტერნის უკანასკნელ კონგრესის დადგენილებათა მნიშვნელობას. განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო ამხ. ლეჟავა ამხ.: ლენინის, ტროცკის, რადეკის და კლარა ცეტკინის მოხსენებებს.

საბჭოთა ხელისუფლების მტრების ყველა ჭორების გასაბათილებლად ამხ. ლეჟავას მოწოდებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ლენინი ჯანმრთელად არის და მალე მუშაობას შეუდგება, გამოიწვია საერთო სიხარული და აღფრთოვანება.

ყველგან გამოქონდათ რეზოლიუციები, რომელნიც კომინტერნის მე-4-ე კონგრესის დადგენილებებს სალამს უძღვნიან. ამ ჟამად მიწის რეფორმის საქმეების გამო ამხ. შამშე ლეჟავა აღმოსავლეთ საქართველოში გაემგზავრა. ამხ. ლეჟავას განზრახვა აქვს ეს გამგზავრებაც მე-4 კონგრესის მუშაობის შესახებ მოხსენებისთვის გამოიყენოს.

ეკონომიური ცხოვრება

ექსპორტი და იმპორტი

1922 წლის დეკემბრის განმავლობაში ბათომის, ფოთის, სოხუმის და ბაქოს ნავთსადგურებიდან შემოტანილია სხვა და სხვა საქონელი ოქროს მანეთებში 3.229,642 მანეთი მაშინ, როდესაც ნოემბერში შემოტანილია 356.301 ფუთი 3.954.903 მანეთის. დეკემბერში შემოტანილი საქონელი ჯგუფების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: **ფუთებში.**

სურსათ სანოვაგე	278.230
ცხოველ. მასალა და მათგან გაკეთებული საგნები	2.264
ხე-ტყე და თესლი	318
სათბობი და სხ. დამუშ. სითხე	378
კერამიული ნაწარმოები	2.461
ქიმიური პროდუქტები	12231
ლითონი და მისი ნაწარმოები	44.443
საწერი საგნები, ლიტერ. და სხვ.	2.260
სხვა და სხვა ქსოვილები	5.957
ტანთსაცმელი და საგალანტ. საგნები	980
ჯგუფის გარეშე საქ.	2.732
სულ	352.240

მანეთებში.

სურსათ სანოვაგე	1.542.083
ცხოველ. მასალა და მათგან მაკეთებელი საგნები	82.849
ხე-ტყე და თესლი	1.981
კერამიული ნაწარმოები	66.011
სათბობი და სხ. დამუშავ. სითხე	8.751
ქიმიური პროდუქტები	96.214
ლითონი და მისი ნაწარმოები	1.031.440
საწერი საგნები ლიტერატ. და სხვ.	22.061
სხვა და სხვა ქსოვილები	278.359
ტანთსაცმელი და საგალანტ. საქონელი	99.393
სულ	3.229.642

დეკემბერში შემოტანილ საქონლის განაწილება ნავთსადგურებს შორის გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

ფუთებში.

ბათომი	182,418
სოხუმი	7.218
ფოთი	21.612
ბაქო	140.192

მთავარ საქონლებს შორის შემოტანილია:

ბრინჯი	66.847 ფ.
ფქვილი	33.628 „
შაქარი	120.735 „
საპონი	3.884 „
ქიშმიში	16.966 „
ავტომობილები.	8.146 „
მანუფაქტურა	1.215 „
ბამბის ქსოვილები	780 „

დეკემბრის განმავლობაში იმავე ნავთსადგურებიდან გატანილია 1.425.993 ფუთი ნედლი მასალა და სხვა საქონელი 2.309,494 მანეთის რაოდენობისა მაშინ, როდესაც ნოემბერში გატანილია 1.948.891 ფუთი 3.224.482 მანეთის. ქვემოდ მოყვანილი ციფრებით სჩანს დეკემბრის განმავლობაში გატანილ საქონლის განაწილება ჯგუფის მიხედვით:

ფუთებში

სურსათ სანოვაგე	10.142
ნედ. მას. და ნახ. ფაბ.	1.816.082
ნაწარმოები	11.542
ჯგუფის გარეშე	193

მანეთებში

სურსათ სანოვაგე	118.560
ნედ. მას. და ნახ. ფაბ.	1.816.082
ნაწარმოები	374.852

გატანილია დეკემბრის განმავლობაში ნავთსადგურებიდან:

ბათომი	1.043.101
სოხუმი	1.508
ფოთი	245.132
ბაქო	136.162

დეკემბერში გატანილ ნედლი მასალისა და სხვა საქონლისგან უმთავრესია:

ხიზილალა—844 ფ., წითელი ხიზილალა—493 ფ., შაქარი (სპარსეთში)—2492. ნავთი—606.349. მანქანის ზეთი—475.587, შავი ქვა—288.532. ნაწლავები—1,142. ტყავეული—1699. ხე-ტყე—4221, თამბაქო—3715. ფრიზონი—553. მატყლი—1700. აბრეშუმი—1790. ბეწვეული—256 ჯაგარი—222. ხალიჩა—2679.

დეკემბერში შემცირდა თითქმის ყველა საქონლის და ნედლი მასალის გატანა გარდა ბეწვეულისა, ჯაგარისა და თამბაქოსი.

დეკემბერში შემჩნეულია საქონლის ტრიალის საერთო შემცირება. დეკემბრის განმავლობაში საერთო საქონლის ტრიალი უდრის თვეში—1.778.233 ფუთს. მანეთებში: 5.539.136 მაშინ, როდესაც ნოემბერში უდრიდა 2.305.142 ფუთს 7.179.732 მანეთს. დეკემბერი არის შედარებით პასიური თვე.

ნოემბერში იმპორტი ექსპორტს აღემატებოდა დაახლოებით 730.084 მანეთით, დეკემბერში კი 920.148 მან.

პირველ სასურსათო თათბირი

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატთან.

(სხდომა მეორე).

თათბირის თავმჯდომარე, ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარი ამხ. **ბუნიატ-ზადე** სხდომას ჰხსნის და აცხადებს, რომ განსახილველია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდეს 1923 წლის სასურსათო გადასახადის კამპანია ამიერ-კავკასიაში.

სიტყვას იღებს სასურსათო კომისარიატის რწმუნებული აზერბეიჯანში ამხ. **ბუკრეევი,** რომელიც ამბობს, რომ 1922 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიის განხორციელების დროს აზერბეიჯანის სახალხო სასურსათო კომისარიატი სცდილობდა ეხელმძღვანელნა იმ პრინციპებით, რომელიც მიღებულია რუსეთში, მაგრამ ადგილობრივ პირობათა გამო საჭირო გახდა ამ პრინციპებზე ხელის აღება. დატოვილ იქნა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. გადასახადის შეწერის ობიექტად აღებულ იქნა ფაქტიურად დათესილ მიწების სივრცე, რომელიც ცნობაში იქნა მოყვანილი 6,800,000 დესეტინა მიწიდან, რომელიც აზერბეიჯანშია, დასათესად გამოსადეგია მხოლოდ 800,000 დესეტინა, ფაქტიურად კი დათესილი იყო 550,000-დან — 600,000 დესეტინა, რაიც მიღებულ იქნა მხედველობაში. აკრებილ იქნა მარცვლეული და თივა. სხვა პროდუქტები ნატურით არ იკრიბებოდა. მართალია ბაღები და ბოსტნები აღრიცხულ იქნენ და მათზე შეწერილ იქნა გადასახადი, მაგრამ მათზე შეწერილი ნორმა ხილით, ან სხვა კულტურით კი არ აიკრიბა, არამედ ხორბლით. იშვიათს შემთხვევებში მარცვლეულის ნაცვლად ხორცი იქნა შეგროვილი. გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის დროს აზერბეიჯანის სახ. კომისარიატი რამდენადმე რუსეთის გზით მიდიოდა. შედგენილ იქნა სოფლების სიები, აღრიცხულ იქნა დათესილი მიწები, საქონელი და სხვ. ნათესებისა, ბოსტნებისა და მეურნეობათა სივრცის მიხედვით და მოსავლიანობის კვალად გამორკვეულ იქნა გადასახადის რაოდენობა. განზრახული იყო მჭამელთა აღრიცხვა, მაგრამ ეს ძნელად განსახორციელებული აღმოჩნდა პირველი იმიტომ, რომ ხალხი უსწავლელია და მეორე იმიტომ, რომ მოსახლეობა სცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები გადასახადი შესწეროდა მას, რის გამოც არა სწორე ცნობების მიცემას არ დაერიდებოდა. ამის გამო მჭამელთა აღრიცხვა არ მოხდა 1922 წელს და არც მომავალში განზრახული.

რაც შეეხება 1923 წლის სასურსათო გადასახადს, ამხ. ბუკრეევის აზრით ხელი უნდა იქმნეს აღებული ხორცისა და თივის შეგროვებაზე, რადგანაც მათი შეგროვება და ორგანიზაცია დიდს ხარჯებს იწვევს. ნატურით აკრებილ უნდა იქმნეს მხოლოდ მარცვლეული. შეიძლება შემოღებულ იქმნას ფულადი გადასახადი იმ მეურნეობებზე, სადაც მარცვლეული არ მოდის (ბაღები, ბოსტნები, ვენახები).

ამხ. ბუკრეევს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ის, რომ სომხეთში გადასახადს აწერენ მოსახლეობას ფულად და შემდეგ ეს ფული გადააქვთ მარცვლეულზე, ვინაიდან მისი აზრით ეს დალუპვას უქადის გლეხის მეურნეობას: ასეთივე აზრისაა ამხ. ბუკრეევი საქართველოს შესახებ, ვინაიდან აქ სასურსათო გადასახადი კი არ იყო განხორციელებული, არამედ სასურსათო ბეგარით. მას არ აკმაყოფილებს ის განმარტება, ვითომ სასურსათო ბეგარა უფრო იოლია, მარტივია და ხელს უწყობს გლეხთა დანაწილებას და ამავე დროს ტვირთად აწვებოდეს შეძლებულ ელემენტს. თუ შარშან გადასახადს იხდიდა მოსახლეობის მდიდარ ნაწილის 40 პროცენტი, დანარჩენები განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან, შეიძლება წელს მარტო 20 პროცენტს ხვდეს იგი, შემდეგ 10 პროცენტს და სხვა. ამ გზით მოსალოდნელია გლეხის მეურნეობის მთლად დაქცევა. ვისაც წელს არ გადაუხდია გადასახადი, იგი ეცდება არც მომავალში გადაიხადოს. ამას გარდა ის სტიქიური უბედურებანი, რომელიც საქართველოს ზოგიერთს რაიონს დაატყდა, სრულიად არ უკარნახებდა, რომ ეს გადასახადი დაზარალებულ რაიონებისაგან მეორე რაიონებზე გადაეწერათ. აქ ერთად-ერთი გზა არის—გადასახადისაგან განთავისუფლება ასეთი რაიონისა.

დასასრულ ამხ. ბუკრეევი საჭიროდ სთვლის, რომ 1923 წლის სასურსათო გადასახადს ამიერ-კავკასიაში პრინციპად დაედოს შეწერითი გადასახადი (და არა განაწილება), რომლის გამოანგარიშების დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული თვითეულ მეურნეობის შემძლეობა და მიღებულ იქნეს ის სისტემა,—რომელსაც აზერბეიჯანში ატარებდნენ 1922 წელს.

ამის შემდეგ მომხსენებლად გამოდის ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში **ამხ. ერქომაიშვილი,** რომელიც, სხვათა შორის ამხ. ბუკრეევს უპასუხებს.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება.

— გაზეთის გუშინდელ ნომერში ბევრი კორექტ. შეცდომაა. ვ სწორებთ უმთავრესს. ქრონიკაში სწერია: „საქართველოს შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ვ. სტურუა“. **უნდა ეწეროს:** „საქართველოს შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. მიხა ცხაკაია და მის მოადგილეთ ამხ. ვ. სტურუა“.

განათლების კომისარიატში.

— **მისაბაძი მაგალითი.** განათლების კომისარიატის თანამშრომლებმა, რიცხვით 8 კაცმა წითელი ფლოტის სასარგებლოთ თავიანთი ჯამაგირიდან გადასდვეს 1,365,000 მან.

— **განათლების განყოფილებების წარმომადგენელთა ყრილობა.** 10 თებერვალს, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება სრ. საქართველოს განათლების განყოფილებათა წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობას განსახილველი აქვს ფრიად საყურადღებო საკითხები.

ქალაქის აღმასკომში.

— **ქუჩების გაწმენდა.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის კოლეგიამ შეიმუშავა პროექტი სავალდებულო დადგენილების ტფილისის ყველა ქუჩებში და მოედნებზე სანიტარულ პირობების დასაცავათ. პროექტი წარედგინება დასამტკიცებლათ აღმასკომის პრეზიდიუმს.

შრომის კომისარიატში.

— **შრომის ხარკის შესახებ.** ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა: ხსენებულ სამმართველოს გადაეცეს შრომის ხარკის ყველა საქმე, კანცელარიით და თანამშრომლებით. განყოფილებას აგრეთვე უნდა გადაეცეს მთელი დარჩენილი თანხა შრომის ხარკის ფონდიდან. შრომის ხარკის წარმოების ინსტრუქტორად დაინიშნა ნასყიდაშვილი.

— **არტელის მომწყობი ბიურო.** შრომის არტელთა მომწყობ ბიუროს დაევალოს დაუყონებლივ მოახდინოს ყველა არტელებში ლიკვიდიცია არანორმალური პირობების, რაც გამოიხატება ზედმეტ მუშაობაში და შრომის დაცვის კანონების დარღვევაში და შეიმუშაოს სათანადო წესდება მუშაობის წესებით წარმოების შესახებ. ამავე ბიუროს დაევალა დაუყონებლივ აღრიცხოს ყველა არსებული არტელები, რომლებმაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა იქონიონ სათანადო კავშირებთან.

— **დახმარება.** კოლეგიამ დაადგინა არტელს „დაბგებს“ მიეცეს ერთი თვის ვადით 10 მილიონი მან.

— **კონფლიქტების შესახებ.** ამავე სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა: რათა ადგილობრივ სათანადოთ იქნეს განხილული და გადაწყვეტილი კონფლიქტები, მომხდარი დაქირავებულებსა და მწარმოებლებს შორის, ამიერიდან საქართველოს დაბა-ქალაქებში გაიგზავნოს საჭიროების მიხედვით საკონფლიქტო კომისია მთელი შემადგენლობით.

ოზურგეთის შრომის განყოფილება.

— **შრომის უნარიანების აღრიცხვა.** ოზურგეთის მაზრის შრომის განყოფილებამ იანვრის განმავლობაში აღრიცხა 19,474 შრომის უნარის მქონე მამაკაცი მუშა. საქონლის აღრიცხული რაოდენობა უდრის 9710 ცალ ხარს, 1119 კამეჩს, 1701 ცხენს და ჯორს. გადასაზიდი იარაღებიდან აღრიცხულია 5,032 ურემი, 15 ეტლი და 12 მარხილი. აქედან თესვის კომიტეტს მიეცა 426 ურემი და 436 მუშა. სასურსათო კომისარიატს 400 ურემი და 400 მუშა. აგრეთვე მუშა ხელი და ტვირთმზიდავები მიეცა სხვა და სხვა სახელმწიფო წარმოებებით. საერთოდ განყოფილებამ სხვა და სხვა დროს ამ ხნის განმავლობაში აამუშავა 32,234 მუშა და 5436 ტვირთმზიდავი. აგრეთვე წლის განმავლობაში სწარმოებდა გზების, ხიდების, სკოლების გაკეთება და შეკეთება, არხების გაყვანა და ჭაობების ამოშრობა.

სხვა და სხვა.

— **სახელმწიფო დახმარება.** 1923 წლის იანვრის განმავლობაში ღარიბების სახელმწიფო დახმარება შემდეგით გამოიხატება:

— **პენსიები და ყოველთვიური დახმარება.** იანვრის განმავლობაში გარჩეულია 81 საქმე, რომელთაგან ხელახლა დაენიშნა პენსია 46 კაცს. უარი ეთქვა 18 კაცს. პენსიის მიცემისაგან განთავისუფლებულია 8 კაცი. გარდა ამისა ამიერ-კავკ [illegible] შრომის სახალხო კომისარიატიდან დანიშნულია 4 ყოველთვიური დახმარება. 1 თებერვლისთვის განყოფილებაში ყველა პენსიონერთა რაოდენობა 280 კაცია; ხოლო ყოველთვიური დახმარება 28 კაცს ეძლევა, სულ 308 კაცს.

შეღავათები ეძლეოდათ ბინის ქირის და სანიტარული გადასახადების დროს და სრულიად თავისუფლდებოდენ სამოქალაქო გადასახადებიდან. ერთი თვის განმავლობაში სულ გაცემულია 136 შეღავათი, რომელთაგან 62 შეღავათი ბინისა და სანიტარულ გადასახადს შეეხება, 74-კი სამოქალაქო გადასახადისგან განთავისუფლებას.

— **ერთდროული დახმარება.** 11900 ათასი მანეთის რაოდენობით მიეცა 9 კაცს, მათ რიცხვში 4 კაცს სამგზავრო დახმარება 10 მილ. რაოდენობით 1500 ათასი მანეთი 3 კაცს გასვენებისთვის საერთო გაჭირვებისთვის დასახმარებლად მიეცა 400 ათასი მან.

ამერიკული ტანსაცმელი მიეცა 93 კაცს 20,575 ათასი მანეთის ღირებულების, მათ რიცხვში ფასად 42 კაცს 10,150 ათ. მანეთის და უფასოთ 49 კაცს 10,425 ათას მანეთის.

— **ფინანსიური მდგომარეობა.** დამშეულთა დამხმარე კომიტეტიდან 22 წლის ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში მიღებულია 200 მილიონი მანეთი, იანვარში 200 მილიონი მანეთი, —სულ 400 მილ. მანეთი, ამათგან დახარჯულია 170,500 ათასი მანეთი. პენსიისათვის გაღებულია 133,800 ათ. მან. ერთდროული დახმარებისთვის 11,900 ათასი მან. ბათომს მიეცა 25 მილ. მანეთი.

— **ხარჯთ-აღრიცხვა 23 წლისათვის.** შედგენილია და დამტკიცებული სახელმწიფო დახმარების ხარჯთ-აღრიცხვა 1923 წლისათვის. საკვარტალო ხარჯთ-აღრიცხვა 3 თვისათვის შეიცავს 1,481,175 ათას მან. ქართულ ბონებით.

— **წითელი ფლოტის სასარგებლოთ.** კვირას, 11 თებერვალს ტფილისის ყველა გოგირდის აბანოები დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე მუშაობენ, საიდანაც წმინდა შემოსავალი გადადებული იქნება წითელი ფლოტის სასარგებლოთ.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 10 თებერვალს სპექტაკლი პროფკავშირების წევრებისათვის „ურიის ქალი“. მონ. ალეშკო, აგრანოვსკი საბინინი და სხვ.

— **ქართული დრამატიული სტუდიის საღამო.** დღეს, რუსთაველის თეატრის ყველა დარბაზებში იმართება ქართული დრამატიული სტუდიის ფონდის გასაძლიერებლათ დიდი-საღამო-კონცერტი. საღამო მრავალფეროვანი პროგრამითაა, მონაწილეობენ თბილისში ცნობილი არტისტიული და ლიტერატურული ძალები.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—წარმოდგენა პროფკავშირების წევრთათვის „ურიის ქალი“. რუსთაველის თეატრი—დიდი საღამო დრამატიული სტუდიის სასარგებლოდ. სახალხო სახლი—„ლილიული“ გლაგოლინის და ვალერსკის მონაწილეობით ცენტრალური მუშათა კლუბი—„ეკლის ბუჩქი“. პროფკავშირთა კლუბი—პროფ. მ. დუბენსკის ლექცია შემდეგ თემაზე: „შესაძლებელია ახალი მსოფლიო ომი?“ (რუსის ოლქის ოკუპ.). 1 სახელმწიფო კონსერვატორია—აღმას. კონცერტი ნ. ყოლიანოვის. საკამერო თეატრი—„მოგზაური“ დ. ევსკის სტუდიის მონაწილეობით. კინო-მინიონი—„წითელი ფანარი“ არფასტო—„უხილავი ხელი“ მე-2 სერია. კინო-პალასი—„ოცნება და სიცოცხლე“.

პროვინციაში

შაქრიანი ხიდის შეკეთება

(თელავის მაზრა)

შაქრიანის ხიდს ეძახიან იმ ხიდს ალაზანზე, რომელიც აერთიანებს თელავის მაზრის გაღმა და გამოღმა რაიონებს. ეს ვებერთელა ხიდი უკვე 4—5 წელიწადია, რაც მოითხოვდა კაპიტალურ რემონტს. მთელი ხის ნაწილები დალპა, ბოძები გაფუქდა და სახიფათო იყო უკანასკნელ ხანებში ამ ხიდზე ტრანსპორტის გასვლა. ორი დღე წვალობდა ნაფარეულის სახალხო მამულის 25 მუშა, როდესაც მათ მიჰქონდათ მამულში ტრაქტორი (ცეცხლის გუთანი), რომელიც ჩავარდა ბოგირზე და ძლივს იქნა ამოთრეული. ბევრჯერ გვინახავს სასურსათო გადასახადით დატვირთული ურმები, რომელნიც გაღმიდან მოდიოდნენ თელავში და როგორ იძულებულნი ხდებოდნენ იქვე გაეთენებინათ ღამე, თუ სინათლით ვერ მოასწრობდნენ გამსვლას. ამ ხიდის შეკეთებაზე ლაპარაკობდნენ 1918 წლიდან, მაგრამ საქმეს შეუდგა მხოლოდ წელს ჩვენი კომუნალური მეურნეობა. ამ მიზნისათვის მთავრობამაც დახმარება გაუწია მაზრას და გადასდო სათანადო თანხა, რომელიც დაფარავს ნახევარ ხარჯებს, დანარჩენს იღებს კომუნალური მეურნეობა. მუშაობა დაიწყო 3 იანვარს არტელმა, რომელიც გვპირდება დასრულებას, თუ ამინდე-

მუშათა ცხოვრება

ფაბკომის მუშაობა ასეთი უნდა

ამ დღეებში საბჭოთა პირველ კოლოფის ქარხნის კომიტეტმა აქაურ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას წარუდგინა მსჯავრის დასადებად თავისი ოთხ თვის მუშაობის ანგარიში.

ფაბკომის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ ამ დროის განმავლობაში მას ჰქონებია 15 სხდომა და მოუწვევია აქაური მუშა-მოსამსახურეთა 11 საერთო კრება, სადაც გარჩეულა სხვადასხვაგვარ პოლიტიკური, პროფესიონალური, კულტურულ-განმანათლებელი, შრომის დისციპლინის და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხები.

მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობაში გაკეთებულა შემდეგი: ქარხნის შენობაში გახსნილა და დღესაც არსებობს ფეხსაცმელების სახელოსნო და საპარიკმახერო, რომლებით მუშები სარგებლობენ სრულიად უფასოდ; გარდა ამისა ფაბკომი შუამდგომლობდა ადმინისტრაციის წინაშე, რათა მუშებს საჭიროების დაგვარად მისცემოდათ ავანსები მათი ჯამაგირის ანგარიშში. პირველი იანვრიდან განახლებულია კოლექტიური ხელშეკრულება საქონლის მანეთის მიხედვით, რომლის ძალით დაბალ დარგის მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ თვიურად არა ნაკლებ 6 მილიონ მანეთისა.

ამის გარდა მუშებს ეძლევათ მათი შრომის ნაყოფიდან ხუთასი ცალი პაპიროსი თვიურად თითოს, ხალათები წელიწადში ორჯერ; ზოგიერთ მუშას ეძლევა „სპეც ტანისამოსიც", მათი შრომის პირობების მიხედვით.

შრომის დაცვა ფაბკომის ენერგიულ მუშაობით დაყენებულია სათანადო დონეზე: „ქარხანაში სუფევს იშვიათი სისუფთავე; არის აქ აგრეთვე ვინტილიაცია, ხელსაბანი—თორმეტი კაცისათვის საპნით და პირსახოცებით ამ უკანასკნელებით მუშები სარგებლობენ უსასყიდლოთ საუზმის წინ და მუშაობის დღის ბოლოს. აქვე დაარსებულია ამბულატორია და სრულიად უფასო საექიმო დახმარება მუშების და მათი ოჯახების წევრთათვის. ამბულატორიაში ფაბრიკის მიერ მოწვეულია გამოცდილი ექიმი და ერთი ფერშალი, რომელნიც ყოველ დღე ნახულობენ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ და უწევენ მათ სათანადო დახმარებას, რის გამო ქარხანაში მუშათა ავადმყოფობა საგრძნობლად შემცირებულია.

კულტურულ დარგში ზემო აღნიშნულ დროის განმავლობაში გაკეთებულა შემდეგი: ქარხანაში დაარსებულია მუშათა კლუბი. თავის მართველობით. ლოზუნგებით და სხვა და სხვა გვარ პლაკატებით, რომელნიც ამშვენებენ კლუბის კედლებს, ეს უკანასკნელი წარმოადგენს საუცხოვო სურათს. ამ კლუბში გამართულა ათამდე მუსიკალური და ლიტერატურული საღამოები პოლიტიკურ მიტინგებით, წარმოდგენებით და სიმღერა-თამაშით. ფაბკომს აქვს მუშებისათვის გამოწერილი ორას ცალამდე გაზეთები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; მასვე დაუარსებია სხვა და სხვა გვარი სტუდიები, პირველ და მეორე საფეხურის სკოლები და სხვა.

ანგარიშის მოხსენების შემდეგ კრება ისმენს სარევიზიო კომისიის განაჩენს ფაბკომის მუშაობის შესახებ, რომელშიაც ფაბკომის მუშაობა ცნობილია სავსებით დამაკმაყოფილებლად. კრება იზიარებს სარევიზიო კომისიის აზრს, მხურვალე მადლობას უცხადებს ფაბკომს და დიდი ტაშის ცემით აჯილდოვებს ფაბკომის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ფრ. ფრიდონოვს.

ინფ.-კორ. ან—შვილი.

ხე-ტყის მასალის „გამომყვანი" და ავეჯის ქარხანა.

აღნიშნული ქარხანა მოთავსებულია მტკვრის ნაპირზე ვერის ხიდის გვერდით და ეკუთვნის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სატყეო კომიტეტს.

აღნიშნულ ქარხანაში მუშაობს ოცდა თუთხმეტი მუშა-მოსამსახურე, რომელნიც თვიურად იღებენ, საშვალოდ, შვიდ მილიონ მანეთამდე. მუშაობა აქ წარმოებს რვა საათის განმავლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ქარხნის წინმსვლელობა მაინც აღარ ეტყობა. ამ ჟამად ორი ცეხი—მანქანის და ავეჯისა სრულიად არ მუშაობს. არ არის შეკეთებული თვით საწყობები დამზადებულ ავეჯის შესანახად. ნედლი მასალა ქარხანაში ძალიან ნაკლებად არის. ეს გარემოება მუშებში იწვევს უსიამოვნებას, ვინაიდან ეს ემუქრება მათ შტატის შემცირებით.

ჩვენ, აქაურ მუშებს, დიდი სურვილი გვაქვს, რომ ქარხნის მუშაობა წარმოება ავიყვანოთ სათანადო დონეზე, მაგრამ ზოგიერთი გაუგებრობის გამო, ქარხანა დეფიციტიანია და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საჭირო მანქანები და სხვა და სხვა სისტემის რადიატორები ქარხანაში ბლომად მოიპოვება და უსარგებლოდ ფუჭდება მაშინ, როდესაც მათი მოწყობა ამოქმედება დიდ შემოსავალს მისცემდა თვით სახელმწიფოს და ჩვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა.

აღნიშნულ მანქანების და რადიატორების ასამოძრავებლად საჭიროა მხოლოდ „ანალინი", რომელიც ქალაქში ბლომად მოიპოვება. როგორც გავიგეთ ამ უკანასკნელ დღეებში, სატყეო კომიტეტს სამი კვირის წინეთ გაუცია „ანალინსის" საყიდლად საჭირო თანხა თავის თანამშრომელ მიზანდროკოვისთვის. მაგრამ ეს უკანასკნელი არც კი გამოცხადებულა ჩვენს ქარხანაში; ეს გარემოება ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია და მოვითხოვთ აღნიშნული მიზანდროკოვი იქნეს მიცემული პასუხისგებაში საქმის გაჭიანურებისათვის.

არავითარი კულტმუშაობა ჩვენში არ სწარმოებს; ამისთვის ჩვენ არც ბინა გვაქვს და არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ქარხანაში მოგვდის მხოლოდ ერთი გაზეთი „პრავდა გრუზია" და ისიც ერთი ცალი, ვიმედოვნებთ, თუ შესაძლებელი იქნება, სხვა გაზეთებსაც და სააგიტაციო ლიტერატურას უფასოდ, ჩვენი მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით.

აქაური მუშებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან ღარიბნი არიან ქარხნის საქმის მოუწესრიგებლობის გამო, წითელი ფლოტის სასარგებლოდ მაინც გადაწყვიტეს გამოიღონ თავის შრომის დღიური ხელფასი.

მუშათა კორესპ. **მთიელი.**

საქსოვ ქარხანაში

კარუსელის ქუჩაზე № 18 მდებარეობს „ცეკავშირის" კუთვნილი ძეხვის დასამზადებელი ქარხანა. კანტორის მოხელეთა გარდა, ქარხანაში ვმუშაობთ 7 კაცი რომელთა შორის 4 კაცი მუდმივ შტატში ირიცხებიან და 3 კაცი კი მოწვეულია ქარხნის მუშაობის დროს, რომელიც გრძელდება წელიწადში მხოლოდ 8 თვეს. ზაფხულობით ქარხანა არ მუშაობს.

ჯამაგირს მუშები ვღებულობთ კოლექტიური ხელშეკრულობის ძალით საქონლის მანეთის ანგარიშზე, იანვარში გვხვდა თითოს 11 მილიონი მანეთი საშვალოდ. ხელფასის გარდა გვეძლევა აგრეთვე ჩვენი შრომის ნაყოფიდან თვეში ათი გირვაქა ძეხვი. ქარხანაში მუშაობა სწარმოებს იშვიათ სუფთა და კარგ სანიტარულ პირობებში. წარმოება იზრდება ძალიან ნელი ნაბიჯით. 1921 წელს თვეში ვამზადებდით საშვალოდ 270 ფუთ ძეხვს. ხოლო 1922 წელში დავამზადეთ 340 ფუთი მაშინ, როდესაც ქარხანას შეუძლია თვეში ათჯერ მეტი პროდუქტის დამზადება. ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: თბილისში ძალიან გავრცელებულია შინა მრეწველური ხასიათის ძეხვის დამზადება, სახელმწიფოს, სანიტარულ და შრომის ორგანოების ფხიზელ კონტროლს მოშორებული სადღაც ჯურღმულებში მზადდება უვარგისი ღირსების ძეხვეულობა, რომელიც მრავლად ავსებს ბაზარს.

პროფ და პოლიტიკურ ხასიათის კულტურულ მუშაობას ჩვენში ხელმძღვანელობს მე-2 რაიკომი, სადაც ჩვენ თითქმის გამოუტოვებლად ვესწრებით და ვისმენთ მოხსენებებს სხვა და სხვა თემაზე. განზრახული გვაქვს ახლო მომავალში მოვაწყოთ გაზეთებზე კოლექტიური ხელის მოწერა; აგრეთვე ვაგზავნით ერთ წერა-კითხვის უცოდინარ ამხანაგს სათანადო სკოლაში.

ინფ. კორ. ალი.

ბმა ხელი შეუწყო, პირველი მარტისათვის. გამოსაცვლელია მთელი ხის მასალა, ნაწილი რკინისა და გასამაგრებელი დამბები. ხიდზე ტრანსპორტის სიარული შეწყდება მხოლოდ 2 კვირით, ამიტომ გამონახულია გამოსასვლელად ფონი. ხის მასალა გამოწერილი იყო ბორჯომიდან, რომლის უმეტესი ნაწილი უკვე მიღებულია. ტექნიკურ მუშაობის ხელმძღვანელნი არიან კომმეურნეობის ტექნიკი ამხ. ქარსკი და გზათა სამმართველოს ინჟინერი ჩხეიძე.

ხტუმარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ.

რადგანაც სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამკურნალო თვისებას აქვს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მშრომელთა აქიმობისა და მათი ჯანმრთელობის აღდგენის საქმისთვის და აგრეთვე იმ მიზნით, რათა სამკურნალო ადგილები წესიერად იქნეს გამოყენებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობის საჭიროებისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამკურნალო ადგილებს (კურორტებს) მიეკუთვნება: ა) ადგილები სამკურნალო (მინერალური და ქიმიურად ნეიტრალური) წყლებით ან სამკურნალო ტალახით, ბ) ტალღოვანი ტბები და ზღვის სანაპიროები, გ) კლიმატიური და მთის ადგილის სადგურები და დ) ადგილები კუმისით აქიმობის სარგებლობისათვის.

2. სამკურნალო ადგილი (კურორტი) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის რომელ კუთხეშიაც უნდა იყოს იგი და ვისაც უნდა ეკუთვნოდეს, ყველა ნაგებობით, შენობით და მოძრავ ქონებით, რაც წინად ხელს უწყობდა კურორტს და რაც არის კურორტთან შეერთებულ და მასზე მიწერილ მიწაზე, შეადგენს რესპუბლიკის საკუთრებას და გამოყენებულ უნდა იქნეს სამკურნალო მიზნებისათვის.

3. სამკურნალო ადგილები (კურორტები) შეიძლება გამოცხადებულ იქნეს საერთო-სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ადგილებად.

4. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილად შეიძლება აღიარებულ იქნეს მხოლოდ ისეთი სამკურნალო ადგილი (კურორტი): 1) რომელსაც ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დასკვნით აქვს თვალსაჩინო მნიშვნელობა თავისი მინერალური წყლებისა, მინერალური ტალახისა და სხვ. შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით და აგრეთვე არსებული მოწყობილობით ავადმყოფთა წამლობისათვის და 2) რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების დასკვნით აქვს მუდმივი უზრუნველყოფილი ნაკადი წყლისა ან მარაგი მინერალური ტალახისა საკმაო რაოდენობით.

5. სამკურნალო ადგილი (კურორტი) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა გამოცხადდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს მიერ.

6. სამკურნალო ადგილებში (კურორტებში), რომელიც ცნობილ იქნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, სამკურნალო წყლებისა და სამკურნალო ტალახის წყაროების დასაცავად წახდენისა და დაზრეტისაგან მოეწყობა სამთო დაცვის ოლქი; სამთო დაცვა შეიძლება მოეწყოს აგრეთვე სასმელი წყლის წყაროებისათვისაც, რომელიც აუცილებელია სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

7. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად აღიარებულ სამკურნალო ადგილების (კურორტების) დასაცავად სანიტარული მხრით, მოეწყობა სანიტარული დაცვის ოლქი, რომლის საზღვრებში შედის თვით სამკურნალო ადგილის სივრცე. სანიტარული დაცვის ოლქში უნდა შევიდეს ყველა ის წყარო, რომელიც ამა თუ იმ სამკურნალო ადგილს აწვდის სასმელ წყალს.

8. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქების საზღვარის დაწესება და შეცვლა მოხდება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილებით.

შენიშვნა: ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილება საზღვრების შეცვლის თაობაზე უკეთუ იგი შეეხება თვით სამკურნალო ადგილის სივრცის გადიდებას, დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი იმ წესის შესახებ, რაც შესრულებულ უნდა იქნეს დაცვის ოლქის ფარგლებში მინერალურ წყალთა წყაროების წესიერად შენახვისათვის და მასთანავე არსებული სამკურნალო დაწესებულებათა გაუმჯობესებისათვის სანიტარულის მხრით.

10. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამთო-სანიტარული დაცვის ოლქში საკურორტო მმართველობის გამგებლობაში გადადის ყველა სამკურნალო დაწესებულება (სანატორიუმი, ტალახები, წყალ-ელექტრონის სამკურნალო და სხვ.), მინერალური წყაროები, მარილოვანი და ტალახის ტბები, პლიაჟი, კლიმატიური სადგურები, ყოველი საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა ცოცხალი და უსულო ინვენტარით, რაც შეადგენს სამკურნალო დაწესებულებათა საჭიროებას და აგრეთვე ყველა სამრეწველო და ხელის შემწყობ საწარმოები მათი მოწყობილობით და ყოველგვარი ინვენტარით (ნედლი მასალით, ფაბრიკატებით და ნაკეთობით), როგორც ისეთი, რომელიც წინად ხელს უწყობდა სამკურნალო დაწესებულებათა საჭიროებას, აგრეთვე ისეთი, რომელიც დღეს აუცილებელია სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

შენიშვნა: სამრეწველო საწარმოთა ექსპლოატაციისათვის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუთანხმებს თავის მოქმედებას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათანადო ორგანოების მუშაობის გეგმას.

11. საკურორტო მმართველობათა გამგებლობაში გადადის აგრეთვე კურორტების საჭიროებისათვის აუცილებელი ტყეები, პარკები, ბაღები, ბოსტნები, სახნავი მიწები, სათიბები, ვენახები და სხვა სამეურნეო სანახები, რომელნიც გამოყენებულ იქნებიან სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

შენიშვნა 1: ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება კერძო სარგებლობის ბაღებსა და ბოსტნებზე და იმ მიწებზე, რომელიც მიცემულია მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ნორმის მიხედვით.

შენიშვნა 2: აგრიკულტურული და საჩვენებელი მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო სანახების ექსპლოატაციისათვის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუთანხმებს თავის მოქმედებას მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობის გეგმას.

12. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქის ფარგლებში არსებული ტყეები გამოცხადებულ იქნეს დაცულად. მეურნეობას ასეთ ტყეებში ეწევა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი იმ გეგმით, რომელიც დადგენილ იქნება მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებასთან შეთანხმებით.

13. უკეთუ სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამკურნალო და სამეურნეო საჭიროებისა და მიზნებისათვის შემდეგში აუცილებელი იქნება მათთვის ახალი მიწებისა და სანახების მიცემა, ეს უნდა მოხდეს მიწათმოქმედების დებულების წესით.

14. სამკურნალო ადგილების (კურორტების) უმაღლესი მმართველობა დაეკისრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილის (კურორტის) ადგილობრივი სამმართველო არ არის დამოკიდებული ადგილობრივი სამაზრო და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებაზე და უშუალოდ ემორჩილება საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს.

15. მშრომელთა უფასო საკურორტო აქიმობისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო კურორტებზე, სახელმწიფოსათვის მისი მოთხოვნით ჩამოირიცხება განსაზღვრული რაოდენობის საწოლი; ყველა ხარჯები მათი მოწყობისა და შენახვისათვის უნდა აუნაზღაუროს საკურორტო სამმართველოს ხაზინის საშვალებათაგან.

16. ექსპლოატაცია კურორტებისა,—მე-15 მუხლით გათვალისწინებულ საწოლთა გარდა,—და აგრეთვე [illegible] და [illegible] საწარმოების მოწყობა სამეურნეო [illegible] ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ცენტრალური საკურორტო სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების სახით შემდეგი ძირითადი პირობების დაცვით:

ა) დაცვა მეცნიერულ-სამკურნალო მეთოდებისა, [illegible] და სხვა [illegible];

ბ) [illegible] ცალკე სანატორიუმები და [illegible] ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ;

გ) [illegible] საერთო საცხოვრებელი, სანატორიუმები და [illegible] ყველა [illegible], რომელნიც საკუთრად იქნებიან კურორტებზე;

დ) [illegible] დასულ საკურორტო დაწესებულებათა და საწარმოთა მიმართ ყველა ის უფლება და უპირატესობა, რაც დაწესებულია სახელმწიფო მოწყობილობის საწარმოებისა და მათი შენაერთებისათვის.

17. ყოველგვარი შემოსავალი მიღებული სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამეურნეო ექსპლოატაციით შედის ხაზინის შემოსავალში და მოხმარდება სპეციალურად და მარტოოდენ საკურორტო საჭიროებათ მშრომელთა საკურორტო აქიმობის გაუმჯობესებისათვის.

18. სამკურნალო ადგილი (კურორტი), რომელიც ცნობილი არ იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, მაგრამ რომელსაც ექნება თვალსაჩინო სამკურნალო თვისება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ადგილად; ამ შემთხვევაში აღნიშნული სამკურნალო ადგილებისათვის მოწყობილ უნდა იქნეს სამთო და სანიტარული დაცვის ოლქები დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

19. სამკურნალო ადგილი (კურორტი), რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს დარჩება რა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საერთო მეთვალყურეობის ქვეშ, გადაეცემა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებების გამგებლობას და მმართველობაში.

20. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს დებულებანი და ინსტრუქციები ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

21. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 37 №-ის დეკრეტი და აგრეთვე ყველა ამ საგანზე წინად გამოცემული დადგენილება ჰკარგავს თავის ძალას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

3 თებერვალი 1923 წ.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 29.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და გამოცხადებულ საკურორტო ადგილებში სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოსადეგი სადგომებისა და შენობათა საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

რესპუბლიკის მშრომელთა საკურორტო აქიმობის პირობების გაუმჯობესებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთი თვის განმავლობაში დღიდან საკურორტო ადგილის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად გამოცხადებისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმოებითი გეგმის თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საკურორტო ადგილში, რომელიც აღიარებულ იქნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, განთავისუფლდეს და გადავიდეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში ყველა სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოსადეგი სადგომები და შენობა, რაც უჭირავს საბჭოთა დაწესებულებებს, მათ შორის სამხედროსაც, აგრეთვე საბჭოთა მოსამსახურეებს და პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არ იქნებიან კურორტებთან აქიმობით ან წარმოებითი მხრით.

2. ყველა უწყება და ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც ამ ჟამად არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ გამოცემული დეკრეტის 2, 10 და 11 მუხლში აღნიშნული რაიმე ქონება, ვალდებულია მოახდინოს ამ ქონების გადაცემა ამ დადგენილების 1-ლ მუხლში ნაჩვენებ ვადაზე.

3. სახელმწიფო კურორტების აღსადგენათ სათანადო მუშაობის წარმოებისათვის—მიეცეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს—საქართველოს კურორტების აღდგენის ხარჯთ-აღრიცხვით საჭირო თანხები და უპროცენტო სესხი განსაზღვრული ვადით და არსებული წესით.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმე განხორციელება იმავე მუხლში ნაჩვენებ ვადაზე დაეკისროს კომისიას, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნოს ა. კ. რესპუბლიკათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში, ხოლო წევრებად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელნი.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. თებერვლის 3.

ტფილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი აძლევს წინადადებას გამოცხადდენ რაიკომის „აგიტპროპ"-ში შემდეგ ამხანაგებს: ავაკოვი, ვართანოვი (უმ. სამ. საბ.), არ. როდოვიანი, ხაჩაპურიძე, ბასტოვი, გინზბურგი, ლიადოვსკი, ნ. ზავარიანი, არჩ. მიაძე, რუხაძე, შავერდოვა და სურ. ერზიკიანი.

— კვირას, 11 თებერვალს, 10 საათზე საქ. კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 სარაიონო კომიტეტის შენობაში დანიშნულია სარაიონო კომიტეტის პლენუმის სხდომა. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 სარაიონო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა სტუდენტებს—პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ მუშათა ფაკულტეტის № 23 უჯრედში ითვლებიან და რომლებიც ჯერ არ არიან ჩარიცხულნი მე-2 სარაიონო კომიტეტის საარიცხვო ნაწილში—გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ სარაიონო კომიტეტში 2 დღის განმავლობაში. (მიხ. ძლიევის პრ. № 96). ვინც ზემოაღნიშნულ უკანასკნელ ვადაში არ გამოცხადდება, საქ. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციიდან მექანიკურათ გამორიცხულით ჩაითვლება და თავისი უფლების აღსადგენათ იძულებული იქნება ტფილისის კომიტეტს მიმართოს."

მდივანი ივანოვი.

პროფესიონალური

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭო წინადადებას აძლევს ამავე უნივერსიტეტის კურსისა თუ ფაკულტეტის, სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეების გამგეობებს და ყველა სტუდენტურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ შტამპები და ბეჭდები, სამი დღის ვადაში ჩააბარონ ასეთები სტ. საბჭოს ტექნიკურ მდივანს უნივერსიტეტის შენობაში, საბჭოს ოთახში, დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

სტუდენტთა საბჭო.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებულნი დედა თებრონე, მეუღლე ნინო, დები: აგრაფინა და მარუსია, ძმები: აქსენტი, სერგო და ვალოდია აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 თებერვალს გარდაიცვალა

კლემენტი სიმონის-ძე
ნ ი ნ უ ა

დაკრძალვა მოხდება ვერაზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე შაბათს 10 თებერვალს საღამოს 4 საათზე. ბინა საგურამოს ქ. № 5, დიღუბ.

112—1—1

ვერა ხიმონის ასული და სერგო ფარნაოზის ძე კანდელაკები ქალ-შვილით ეთეროთი აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 6 თებერვალს გარდაიცვალა საყვარელი ძმა პირველისა, ცოლის ძმა მეორესი და ბიძა მესამესი

კლემენტი სიმონის-ძე
ნ ი ნ უ ა

გამოსვენება დიღუბიდან (საგურამოს ქ. № 5) ნიკოლოზის სასაფლაოზედ (ვერა) დანიშნულია შაბათს ნაშუადღევს 4 საათზე.

112—1—1

ღრმად დამწუხარებულნი მშობლები ზაქარია დავითის-ძე და ნატალია ღვთისავარის ასული, მამიდები: სოფიო, ნინო და ეფემია, ძმები: არჩილი, გიორგი, დავითი, ვიქტორი, დები: ლიზა, თამარა, ქეთო და სიძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე პაპიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ფრენის დროს ტრაგიკულად დაღუპულ სამხედრო მფრინავ

სიმონ (სიკო) ზაქარიას-ძე
დავითაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე დანიშნულია ქაშვეთის ეკლესიაში 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება შაბათს 10 თებერვალს 1 ს. დიდუბის ეკლესიის გალავანში.

კრ. 162—2—2

შაბათს, 10 თებერვალს,
პროფესიონალურ კავშირის წევრებისათვის

სახელმწიფო ოპერა

შ ო თ ა ხ ჯ-
-ჯ ქ ა ლ ი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

კრ. 165—1—1

სამოქალაქო გადასახადთა გამტარებელი

კ ო მ ი ს ი ა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 თებერვ. 20 თებერვლამდე ოქროს მანეთის კურსი რჩება უცვლელად ე. ი. ოქროს მანეთი — 400.000 მან.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.

კრ. 167—1—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**
„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"
შინაგანი ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმყ. სპეც. წამლობა მალარიისა
შვ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 საათამდე დილის და 5—7 ს. საღამოს.
ბებუთოვის ქუჩა № 23 (684—25—3)

კვირას, თებერვლის 11, შუადღის 12 საათიდან

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო ქაღალდების დამზადების [illegible] ფანჯრების ჩარჩოებისა, კარების და სხვა და სხვა მასალების.

მსურველს შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა ზემოაღნიშნულ ვაჭრობა
მელიც შესდგება ექსპედიციის ახალ შენობაში (ბროსეს ქუჩა №

ექსპედიცი

109—1—1

ალმასკომის გადასახადთა

ბ ი უ რ ო

ამით აცხადებს, რომ შაბათს, 10 თებერვალს, დილის თერთმეტ ალმასკომის საკრებულო დარბაზში

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

ქვემო აღნიშნულ ბ ა ქ ე ბ ზ ე დ.

1. პოსტოიალის შესახ. № 3.
2. კახეთის ქ. № 8.
3. ჩერქეზიშვილის ქ. № 44.
4. თივის მოედანი № 1.
5. საბურთალო, ყოფილი რაზმაძისა.

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება ალმასკომის გადასახა როში ოთახი № 50. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ღიათ ესე იგი არ არავითარი დახურული კონვერტები.

კრ. 1

თბილისის საბაჟო

ამით აცხადებს, რომ 15 თებერვალს ამა წლისა,

საბაჟოს შენობაში

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

შეჯიბრება

საარტელო სამუშაოების გასაცემად
საექსპორტო-საიმპორტო საქონლებზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ შემოიტანონ განცხადება სამი დღის შეჯიბრებამდე.

შეჯიბრებულთ შეუძლიათ პირობების გაცნობა საბაჟოს კანცელარიაში ყოველ დღე ნაშუადღევს სამ საათამდე.

თბილისის საბაჟო.

კრ. 135—3—3

ვამზადებ ახალ მოსამზადებელ ჯგუფებს მომავალ სამოსწავლო წ თვის ტეხნიკუმ., მუშფაკულტ., სამხედრო სასწავ., საბებიო ინ ში, შრომის სკოლაში, საერთო კურსებზე შესასვლელად მე-6, მე-7 კლასში და

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი,
(არითმეტ. ალგებრა გეომეტ. და ტრიგონ.)

რუსულ, გერმანულ ენებში ვასწორებ ჩამორჩენილ მოწა ჩაწერა და მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. პლეხანოვის და ალ ქუჩის კუთხე № 25 და 5. (102—3—

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგ
მიიღებიან ბავშვები უოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბ
№ 22 ტელეფ. 1—44. (77—25—

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მ ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ გართულ საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი სვიმონიშვილ მაზრა სოფელი შინდისა). ჩაითვალოს გ
107—1

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიური

განყოფილება

ამით აცნობებს ყველა სამრეწველო დაწესებულებებს

სავალდებულო რეგისტრაციის

შესახებ, თანახმად ს. მ. უ. ს. 6 იანვრის 1923 წ. № 21 დადგენილებისა:

რეგისტრაცია სწარმოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების დილის 9—12 საათამდე, კერძო დაწესებულებების 12—3 საათამდე ორშაბათიდან **12 თებერვლიდან** ეკონომიურ განყოფილებაში პუშკინის ქუჩა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შენობაში.

წარმოებები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში № 21 დადგენილებაში დაწესებულ დრომდე, დაჯარიმებულ იქნებიან 1000 მან. ოქროთი.

პროვინციაში რეგისტრაცია სწარმოებს კომუნალურ განყოფილებებში.

(160—3—1)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.